პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 55 (20096) შაბათი, 5 მარტი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 3 მარტს გამართულ სხდომაზე განიხილა სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის ძალაში შესვლის შემდეგ საწარმოთა საქმიანობის საკითხი. აღინიშნა, რომ ეკონომიკური რეფორმის უკვე პირველმა ნაბიჯებმა გააქტიურა ბევრი შრომითი კოლექტივის მუშაობა. იზრდება მშრომელთა ინიციატივა და გულმოდგინება, სულ უფრო ფართოდ იყენებენ მეურნეობრიობის ეკონომიკურ მეთოდებს. სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამ ხელი შეუწყო მიმდინარე წლის პირველი ორი თვის გეგმის წარმატებულ შესრულებას.

ამავე დროს სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მითითებები, რომ გაიზარდოს საწარმოთა როლი დაგეგმვაში და მათი საქმიანობა დაექვემდებაროს მომხმარებელთა მოთხოვნებს, ბევრ შემთხვევაში არ შესრულებულა. ეს განაპირობა არა მარტო მართვის მთლიან სისტემაზე გარდამავალი პერიოდის თავისებურებებმა, არამედ საქმის ორგანიზაციის პირდაპირმა ხარვეზებმაც ცენტრში და ადგილებზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ვერ უზრუნველყო 1988 წლის სახელმწიფო შეკვეთების სისტემისადმი სათანადო ხელმძღვანელობა, რის გამოც შეიზღუდა საწარმოთა დამოუკიდებლობა პროდუქციის ასორტიმენტის, ხელშეკრულებათა დადებისათვის პარტნიორთა შერჩევაში. საწარმოთა ინიციატივის განვითარებას სერიოზულად აფერხებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ნაკლოვანებანი. სსრ კავშირის სახმომარაგება და მისი ადგილობრივი ორგანოები სუსტად წყვეტენ მომწიფებულ საკითხებს. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო ნელა გარდაქმნის ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მუშაობას. ბანკებმა დაუშვეს შეფერხებები საწარმოთა საკრედიტო-საანგარიშსწორებო და საკასო მომსახურებაში. ბევრმა სამინისტრომ ვერ შეძლო თავისი მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნა, ვერ გაუწია სათანადო პრაქტიკული დახმარება საწარმოებს ახალ პირობებში მუშაობაში, მიდასაწარმოო სამეურნეო ანგარიშის დანერგვაში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს, მართვის ადგილობრივ ორგანოებს წინადადება მიეცათ მკაცრად დაიცვან სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონი, შექმნან საწარმოთა ინიციატივისა და დამოუკიდებლობის განვითარების, სამეურნეოანგარიშებრივი ურთიერთობის ფართოდ დანერგვის, სახელმწიფო და შრომითი კოლექტივების ინტერესების შეხამების საჭირო პირობები.

პოლიტბიურომ ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს დაავალა აღმოფხვრან მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდები, უფრო გაბედულად გადავიდნენ ეკონომიკის ხელმძღვანელობის პოლიტიკურ მეთოდებზე, უწინარეს ყოვლისა დაეყრდნონ შრომითს კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. სხდომაზე განიხილეს საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულების გამო საინსპექციო საქმიანობის ორგანიზაციასთან და განხორციელებასთან დაკავშირებული ღონისძიებანი. განიხილეს მთელი რიგი კონკრეტული საკითხები იმის შესახებ, თუ როგორ ემზადება საბჭოთა მხარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის მისი ძალაში შესვლის შემდეგ.

პოლიტბიურომ მოიწონა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ა. გრომიკოს ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგები. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია, სსრ კავშირი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა ერთნაირად უდგებიან საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურთიერთობისა და საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს. ბუდაპეშტში გამართულმა შეხვედრებმა და საუბრებმა, რომლებმაც გულითადობისა და ამხანაგური ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, ცხადყო, რომ მხარეები ესწრაფვიან დინამიკურად განავითარონ მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და უნგრეთს შორის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ გარდაქმნის პროცესი სსრ კავშირში და სოციალისტური უნგრეთის მიზნების თანახმიანობა ახალ შესაძლებლობებს უსახავს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურთიერთობის ყოველმხრივ განვითარებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილებანი კომუნისტური პარტიისა, და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ სხვა საკითხზე.

## მთავარი თემა — თანამედროვეობა

რესპუბლიკის სახალხო მხატვრის თენგიზ სამსონაძის შემოქმედების მთავარი თემა თანამედროვეობაა, ჩვენი დღევანდელობის სუნთქვით არის გაჟღენთილი მისი ფერწერული, გრაფიკული ნამუშევრები, პლაკატები.

თენგიზ სამსონაძეს ახლახან სამოცი წელი შეუსრულდა და ამასთან დაკავშირებით მეოთხე გვერდზე გაეცნობით ჩვენი კორესპონდენტის დიალოგს მხატვართან, აქ კი გთავაზობთ მის ერთ-ერთ ნამუშევარს „მენავთობეები".

## ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ

ასეთი თანადგომა და მოყვასისათვის თავდადება მხოლოდ საბჭოთა საზოგადოებაშია შესაძლებელი.

...

ასეთი წერილები მოდიოდა ერევნიდან, ბაქოდან, ტაშკენტიდან, ლენინგრადიდან და ჩვენი დიდი სამშობლოს თითქმის ყველა ქალაქიდან.

...

# ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთის იმედად

[illegible]

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

[illegible]

# გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

### გამოიცა ცალკე ბროშურად

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" ცალკე ბროშურად მასობრივი ტირაჟით გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა „რევოლუციურ გარდაქმნას — განახლების იდეოლოგია", რომელიც მან წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1988 წლის 18 თებერვალს.

ბროშურაში შევიდა აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლის შესახებ.

ბროშურა დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სტამბაში.

▼▼

### დროით შემოწმებული მეგობრობა

მოძმე ბულგარელი ხალხი ზეიმობს ღირსშესანიშნავ თარიღს — ოსმალთა უღლისაგან თავისი სახელმწიფოს განთავისუფლების 110 წლისთავს. მოძმე ქვეყნის მშრომელებთან ერთად ღირსსახსოვარ იუბილეს ფართოდ აღნიშნავენ საბჭოთა ადამიანები. ...

ბულგარეთის ელჩმა სსრ კავშირში გ. პანკოვმა განაცხადა, რომ ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობამ გაუძლო დროის გამოცდას და მათი საერთო და ყველაზე ძვირფასი მონაპოვარი გახდა. ოსმალთა მონობისაგან ბულგარეთის განთავისუფლების 110 წლისთავის საზეიმო აღნიშვნა კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ჩვენს ხალხებს აკავშირებს დროით შემოწმებული ძმობა. ჩვენი მეგობრობა დამაჯერებლად მოწმობს უშრეტ ძალასა და ცხოველმყოფელობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში.

▼▼

### პოლონეთის სეიმის დელეგაცია საქართველოში

რესპუბლიკაში ორ დღეს იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დაგეგმვის, ბიუჯეტისა და ფინანსთა კომისიის დელეგაცია ამ კომისიის თავმჯდომარის იან კაჩმარეკის მეთაურობით.

სტუმრები ეწვივნენ რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს, დაათვალიერეს თბილისის და მცხეთის ზოგიერთი საწარმო, ღირსშესანიშნაობები.

რესპუბლიკიდან გამგზავრების წინ იან კაჩმარეკმა უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს:

— გარდაქმნას საბჭოთა კავშირში მნიშვნელოვანი ნაყოფი მოაქვს. ამაში დავრწმუნდით საქართველოს გაცნობის შემდეგ. დიდი შთაბეჭდილება დატოვა რესპუბლიკის საწარმოთა დათვალიერებამ, სადაც შექმნილია მუშებისათვის ზრუნვის, წარმოების მართვის დემოკრატიული ფორმებისა და ამის საფუძველზე ეკონომიკურ მაჩვენებელთა ზრდის გამოცდილება, რომელიც ჩვენთვის ძალზე სასარგებლოა. მაგალითად, საწარმოო გაერთიანება „თბილისრძეში" თვით მუშებმა წამოაყენეს და განახორციელეს შრომის ორგანიზაციისა და ტექ-...

...

6 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით „პროგრეს-34" ხომალდი გამოეყო „მირ" ორბიტულ კომპლექსს. შემდეგ ფრენის მართვის ცენტრიდან გაცემული კომანდით მოეწყო ხომალდის ორიენტაცია და მისი ძრავის დანადგარის ჩართვა. დამუხრუჭების შედეგად „პროგრეს-34" გადავიდა დაშვების ტრაექტორიაზე, შევიდა ატმოსფეროს მკვრივ ფენებში და არსებობა შეწყვიტა.

კოსმონავტებმა ვლადიმერ ტიტოვმა და მუსა მანაროვმა განვლილ დღეებში გაიარეს სამედიცინო გამოკვლევა, მოაწყვეს ორბიტული კომპლექსის დინამიკური მახასიათებლების შეფასების ექსპერიმენტები, სამეცნიერო აპარატურას ამზადებდნენ მომავალი გამოკვლევებისათვის.

კოსმოსური მასალათმცოდნეობის პროგრამის შესაბამისად, დღეს ეკიპაჟი იწყებს ექსპერიმენტების სერიას, რომელთა მიზანია სხივური ენერგიის კონცენტრირებული ნაკადით გახურების დროს სხვადასხვა მასალის დნობისა და კრისტალიზაციის პროცესების თავისებურებათა შესწავლა. ამ გამოკვლევებში იყენებენ ტექნოლოგიურ დანადგარს — სარკულ-სხივურ ღუმელს.

სამედიცინო კონტროლის შედეგების მიხედვით, კოსმონავტები ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ.

ორბიტაზე მუშაობა გრძელდება.

▼▼

### გეგმის გადამეტებით 5 მილიონი მანეთის პროდუქცია

წლევანდელი წელი კარგი შედეგებით დაიწყეს ქუთაისის ...

...

ტვირთო ხომალდი შეუპირაპირეს „მირ" პილოტირებულ კომპლექსს. ერთობლივი ფრენის პერიოდში სამუშაოები, რომლებშიც შედიოდა სადგურის განტვირთვა, სასმელი წყლის გადატუმბვა და საწვავით სადგურის ძრავის დანადგარის კმაგაწყობა, მთლიანად შესრულდა.

...

ქალაქის მშრომელები იჩენენ სიმტკიცეს, ავლენენ ინტერნაციონალიზმის გრძნობას. შრომითი რიტმი არ შეწყვეტილა. მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა საწარმოები მუშაობენ დაწესებული რეჟიმით, სასწავლებლებში მეცადინეობა გრძელდება.

### სუმგაითის ამბები

[illegible]

### ორმაგი ამბავი

[illegible]

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### ამხ. ს. თ. ცინცაძისათვის „სსრ კავშირის სახალხო არტისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოს „სსრ კავშირის სახალხო არტისტის" საპატიო წოდება საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. სულხან თეოდორეს ძე ცინცაძეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი

მოსკოვი, კრემლი, 1988 წლის 4 მარტი.

ვულოცავთ!

# ღვაწლის დაფასება

[illegible]

## პარტიული ცხოვრება

**დღეს ჩვენს რესპუბლიკაში პრაქტიკულად არ არის სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, მეტ-ნაკლებად რომ არ შეხებოდეს გარდაქმნა. საზოგადოებრივ მეურნეობაში, რომელზეც ამჟამად მოგითხრობთ, იქაური მშრომელებისა და კომუნისტთა საქმიანობაშიც იგრძნობა გარდაქმნა, ოღონდ... უარესობისაკენ. ლაპარაკია ქარელის რაიონის ხვედურეთის მეცხოველეობის კომპლექსზე.**

# გარდაქმნა... უარესობისაკენ?!

### ანუ ნაკლკომპლექსიანი მეცხოველეობის კომპლექსი

**როდესაც** კომპლექსში მივედით, ფერმებს ასუფთავებდნენ, ტრანსპორტით ნაკელი გამოჰქონდათ, ჩანდა, ის-ის იყო დაემთავრებინათ წველა.

— რამდენს იწველება თქვენთან საშუალოდ ფური? — ვკითხეთ პირველსავე შემხვედრ მწველავს.

— ძროხა რომ სამ ლიტრს მოიწველის, არც ის არის გასაჩერებელი და არც იმის მომვლელ-პატრონები, — ხელის ჩაქნევით გვიპასუხა.

მწველავი ქალის სიტყვები მერე ბევრჯერ გაგვახსენდა, როცა ხვედურეთელ მეცხოველეთა საქმიანობას ვეცნობოდით.

ამთავითვე ვიტყვით, რომ კომპლექსი წლების მანძილზე ჩამორჩენილთა რიგებშია. აქაური კომუნისტები კი არათუ ვერ ამკვიდრებენ კოლექტივში პოზიტიურ ტენდენციებს, ვერ იბრძვიან ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, არამედ შეეგუენ კიდეც ჩამორჩენას, არსებით დადებითს გავლენას ვერ ახდენენ ეკონომიკაზე, სათანადოდ ვერ აკონტროლებენ ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობას. შედეგიც ცუდია. ავიღოთ თუნდაც შარშანდელი მაჩვენებლები. შარშან აქ აწარმოეს საგეგმოზე 1947 ცენტნერით ნაკლები რძე და 378 ცენტნერით ნაკლები ხორცი. სამაგიეროდ მათ დიდად გადააჭარბეს უხეში და წვნიანი საკვების ხარჯვის დადგენილ ნორმებს: რძის წარმოებაზე გადაიხარჯა 2237, ხოლო ხორცისაზე — 2486 საკვები ერთეული. ეგებ ამ გადახარჯულმა საკვებმა ის საქმე მაინც გააკეთა, რომ საგრძნობლად გაზარდა პირუტყვის სადღეღამისო წონამატება? პირიქით, ამ მხრივაც ცუდი მდგომარეობაა: მსხვილფეხა რქიანმა პირუტყვმა დღე-ღამეში საგეგმო 250-ის ნაცვლად 145 გრამი მოიმატა, ღორმა კი 341-ის ნაცვლად 133 გრამი. ასეთია გადახარჯვის „უკუგება".

კომპლექსი მეცხოველეობის მიმართულებისაა, მაგრამ აქ ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურებიც მოჰყავთ. დამამშვიდებელი მდგომარეობა არც მემცენარეობაშია. ან კი როგორ იქნება, როცა მარცვლეულის წარმოების დავალება 53 პროცენტით შესრულდა, ხოლო ლობიოსი — 25 პროცენტით.

ასე რომ, საფიქრალ-საზრუნავი და გასაკეთებელ-მოსაგვარებელი აქაურ კომუნისტებს საკმაოზე მეტიც აქვთ. და მით უფრო გასაკვირია, რომ ისინი თითქმის არ ზრუნავენ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, ვერ ქმნიან კოლექტივში ისეთ მორალურ და ზნეობრივ მიკროკლიმატს, რომელიც მეცხოველეებს სურვილს აღუძრავდა ეძებნათ მუშაობის გაუმჯობესების ეფექტიანი საშუალებები, დაემკვიდრებინათ ურთიერთმომთხოვნელობის, დისციპლინის განმტკიცების, სიტყვის ერთგულების სულისკვეთება.

თუმცა მეცხოველეობის კომპლექსის პარტორგანიზაცია ვერც უწინამძღოლებდა შრომითს კოლექტივს გარდაქმნისა და განახლების გზაზე, რადგან შარშან თავად დარჩა უწინამძღოლოდ და მთელი რვა თვე აქ არც პარტიული კრება გაუმართავთ და არც პარტიული კომიტეტის სხდომა.

მაგრამ იქნებ საუბნო პარტორგანიზაციებმა იტვირთეს პარტიულ-ორგანიზატორული ხელმძღვანელობის მთელი სიმძიმე?

ახლად არჩეულ პარტიული კომიტეტის მდივანთან ო. ნადირაშვილთან ერთად გულმოდგინედ ვეძიეთ ამის დამადასტურებელი პარტიული დოკუმენტები, მაგრამ ამაოდ. შარშან (და წლეულსაც) საუბნო პარტორგანიზაციის კრებები საერთოდ არ გამართულა. საუბნო პარტორგანიზაციის მდივნებს არც სამუშაო გეგმები აქვთ და საწევრო ანარიცხების უწყისებიც შინ ჰქონიათ წაღებული.

ვ. ჩოჩიშვილი ბრიგადირია, საუბნო პარტორგანიზაციის მდივანი. როცა ბრიგადაში საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერის ნაცვლად 7 ცენტნერი ხილი მოჰყავთ და 120-ის ნაცვლად 11 ცენტნერი ხახვი, როცა მდივანმა არ იცის, რამდენი კომუნისტია ბრიგადაში და საანგარიშო პერიოდის მანძილზე ერთი კრებაც არ მოუწყვია, აბა, მასთან სერიოზულ თემაზე საუბარს აზრი უნდა ჰქონდეს? თანაც ვ. ჩოჩიშვილი, სამწუხაროდ, გამონაკლისი არ არის.

ამიტომაც დავკმაყოფილდით კომპლექსის საუბნო პარტორგანიზაციის ახალარჩეული მდივნის ა. გეგელაშვილის ზეპირი განცხადებით იმის თაობაზე, რომ შარშან სექტემბერში კომუნისტების საუბნო საანგარიშო-საარჩევნო კრებამ არადამაკმაყოფილებლად შეაფასა პარტორგანიზაციის მუშაობა და მდივანი ლ. გაზაშვილი გადაირჩიეს მდივნობიდან. ზეპირი განცხადებითო, ვამბობთ, რადგან ამის დამადასტურებელი ოქმი ვერ ვნახეთ. ეს კი არა და, 108-კაციანი მეცხოველეობის კომპლექსის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაც კი ორ ფაზად მოუწყვიათ: ჯერ გამართულა საანგარიშო კრება, რომელზეც პარტორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენება გაუკეთებია კომპლექსის ყოფილ დირექტორს (მაშინ როცა აქაური პარტიული კომიტეტის მდივანს ორი მოადგილე ჰყავს!), ხოლო მოგვიანებით ახალი პარტიული კომიტეტი აურჩევიათ.

საქმის ვითარებას შესაძლოა ძალიან ვნებს ისიც, რომ კომპლექსში მეტისმეტად ხშირად იცვლება ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო კადრები (მაგალითად, 1981 წლიდან მოყოლებული დღემდე კომპლექსში ექვსი დირექტორი შეიცვალა). ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება: მთლიანად კომპლექსში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია, მაგალითად, 64 ცენტნერი ბოსტნეული და 9,9 ცენტნერი ხილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითო ვაშლის ხიდან 10 კილოგრამი ხილიც ვერ მოუკრეფიათ.

კომპლექსში 500-მდე მუშაა: აქედან გამომდინარე, თითქოს მუშახელის ნაკლებობას არ უნდა განიცდიდნენ, მაგრამ შარშან საკვების დამზადებაზე მაინც გარედან, კერძოდ, ახალქალაქის რაიონიდან მოუწვევიათ ხალხი და გასამრჯელოც არ დაუშურებიათ (რა თქმა უნდა, სახელმწიფო თანხებით) — 74 ათასი მანეთი გაუტანებიათ სტუმრებისათვის 1000 ტონა თივის დამზადებაში. ახლა კი უკვირთ, ცენტნერი თივის თვითღირებულება 6-დან 12 მანეთამდე რამ გაზარდაო. თუმცა მარტო თივა? ცენტნერი რძის თვითღირებულება ასევე გაზრდილია 23 მანეთით, ღორის ხორცისა — 178, საქონლისა — 1085 მანეთით!

კომპლექსის ისედაც უღმერთოდ გაბერილი შტატები ყოველთვიურად ხელფასის სახით საშუალოდ 40 ათას მანეთს „ნთქავენ", წლიურად — 500 ათას მანეთზე მეტს. სანაცვლოდ რას აძლევენ კომპლექსს? თითქმის არაფერს. ბევრი მუშაკი ხელფასს მხოლოდ სამუშაოზე გამოცხადებისათვის იღებს, ზოგიერთ წამყვან სპეციალისტს თანამდებობა რეალური შრომითი წვლილის გაუთვალისწინებლად უკავია. და ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ ეს ნაკლებად აწუხებთ.

შარშან ხვედურეთის მეცხოველეობის კომპლექსს სამეურნეო წელი 30 ათასი მანეთი მოგებით უნდა დაემთავრებინა, პრაქტიკულად კი 689 ათასი მანეთი იზარალა. კომპლექსის დღევანდელი საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობაც საგანგაშოა, აქ კი მშვიდად არიან. ეტყობა, გარდაქმნის მაცოცხლებელ სიოს ჯერ არ შემოუღწევია, თორემ იმაზე მაინც იფიქრებდნენ, თუ როგორ დაფარონ ბანკის თითქმის ოთხი მილიონი მანეთი სესხი, სად იშოვონ პირუტყვის დამატებითი საკვები, მათ შორის, კომბინირებული, რომლის მარაგიც დღეისათვის მთლიანად ამოწურეს და კომპლექსის თითქმის 1000 სული პირუტყვი პრაქტიკულად უკვე შიმშილობს...

რესპუბლიკაში ახლა დიდი სამზადისია გაშლილი XIX საკავშირო პარტკონფერენციის შესახვედრად. სოფლად საზოგადოებრივ მეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები საფუძვლიანად აანალიზებენ გარდაქმნის პირობებში ცხოვრებისა და მუშაობის გამოცდილებას, სრულყოფენ სოციალისტური შეჯიბრების ფორმებს, კისრულობენ ვალდებულებებს, რომ ინტენსიური ტექნოლოგიის, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების ფართო დანერგვით გაზარდონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა, წარმატებით გამოაზამთრონ პირუტყვი და ხარისხიანად შეასრულონ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

**სამწუხაროა**, რომ იმათ რიგებში, ვინც ასეთი დიდი შრომითი და პოლიტიკური აქტიურობით ემზადება XIX საკავშირო პარტკონფერენციის ღირსეული შეხვედრისათვის, ქარელის რაიონის ხვედურეთის მეცხოველეობის კომპლექსის მშრომელებს ვერ ვხედავთ. საჭიროა პარტიის ქარელის რაიკომი და რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება სერიოზულად დაინტერესდნენ ამ საზოგადოებრივ მეურნეობაში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობით და ყოველი ღონე იხმარონ მისი გაუმჯობესებისათვის.

**გ. ვაშაკიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

# გუშინ, დღეს, ხვალ

## ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

### ვეტერანთა და ინტერნაციონალისტთა კლუბი

**ზესტაფონში,** მარქსის ქუჩაზე, საზეიმოდ გაიხსნა ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს და ახალგაზრდა ინტერნაციონალისტთა კლუბი.

— მადლობის მეტი რა გვეთქმის, — თქვა ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ მ. თუთბერიძემ, — დღემდე ჩვენ არ გვქონდა სამუშაო ადგილი, ახლა კი ეს კეთილმოწყობილი ოთახები საშუალებას მოგვცემს უფრო მეტი სარგებლობა მოვუტანოთ ახალგაზრდობას. სასიხარულოა, რომ ამავე შენობაში, ჩვენ გვერდით მუშაობას შეუდგება ახალგაზრდა ინტერნაციონალისტთა კლუბი.

ვეტერანთა და ინტერნაციონალისტთა კლუბში მოეწყო საბრძოლო დიდების ამსახველი სტენდები, გამოფენილია საინტერესო ექსპონატები, ავღანეთიდან დემობილიზებული ახალგაზრდების ფოტომასალები, სადაც განსაკუთრებული ადგილი უკავია შორაპნელი ჰაბუკის, ავღანეთის დამოუკიდებლობისათვის დაღუპული ჯარისკაცის დათო ფერაძის ბავშვობისა და სიყმაწვილის წლების სურათებს, მშობლებისა და ახლობლებისადმი გამოგზავნილ წერილებს.

▼ ▼

### ფართოვდება კოოპერატივების ასპარეზი

**ტყუილად** არ ამბობენ, რომ აფხაზეთში სოკოსავით ჩნდება კოოპერატივები. ის იყო, ილიჩის სახელობის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა დაბა გულრიფშში თევზის მოსაშენებელი კოოპერატივი გახსნეს, რომ მეზობელ სოფელ კინდღში მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის ბაზაზე ამოქმედდა კოოპერატივი, რომელმაც... ქამასოკოს მოყვანა ითავა. და თუმცა ამაში უჩვეულო არაფერია, ასეთი კოოპერატივის შექმნა სწორედ რომ დროული იყო, რადგან ქამასოკო დიდად კალორიული დელიკატესი პროდუქტია, რომელიც შეიცავს ცილას, ნახშირწყლებს, ვიტამინებს.

კოოპერატორებმა ძველი, მიტოვებული შენობა გამოიყენეს. მათ საკუთარი ხელით გამოიყვანეს თბოსადენი ადგილობრივი ცხელი წყაროებიდან. გასაკვირი აქ არაფერია, რადგან კოოპერატივის თავმჯდომარე გერმანე ჩოკორაია და მისი ორი კომპანიონი — რამიზ დომენია და ლეონ მიქაძე სპეციალობით მშენებლები არიან. ამ ხალხმა თავის საქმე იცის, არც ენერგია და ფხა აკლიათ. სამივენი ერთდროულად მომმარაგებლებიც არიან, მწარმოებლებიც და კომერსანტებიც. უკვე გამოაანგარიშებული აქვთ, რომ კოოპერატივის შემოსავალი ერთიორად გაიზრდება მას შემდეგ, რაც მარინადისა და მწნილის, სოკოს ჩირის წარმოებას მოაგვარებენ. ტექნოლოგიის მკაცრი დაცვით იმედოვნებენ, რომ წელიწადში ოთხ მოსავალს მოიწევენ.

— კილოგრამი სოკო ექვსიდან შვიდ მანეთამდე ეღირება. ეს არც ისე ძვირია, თუ გავითვალისწინებთ, რომ რესპუბლიკის ბაზრებში მისი ფასი ორჯერ მეტია, — ამბობს კოოპერატივის თავმჯდომარე. — მაგრამ, როცა ხარჯებს ავინაზღაურებთ, პროდუქციასაც თანდათან გავაიაფებთ. ჯერჯერობით კი ბანკის ვალი გვაქვს გასასტუმრებელი. მისგან გვარიანი სესხი მივიღეთ — ექვსი ათასი მანეთი.

... ბნელ ბოქსებში თბილა, ვეგეტაციური პერიოდი ნორმალურად მიმდინარეობს. პირველ მოსავალს ტონაზე ნაკლები პირი არ უჩანს.

▼ ▼

### საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში, პროფსაბჭოში, განათლების სამინისტროში

**მიღებულია** გადაწყვეტილება, რომ 25 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით საბავშვო სახლების მშობლების მზრუნველობას მოკლებული ობოლი ბავშვების სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთათვის მოეწყოს უფასო მოგზაურობა ტურისტული მატარებლებით, რომელთა მარშრუტი იქნება თბილისი-ნოვოროსიისკი-კრასნოდარი-ვოლგოგრადი-თბილისი. მასში მონაწილეობას მიიღებს 330-ზე მეტი ბავშვი.

▼ ▼

### მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგებისათვის

**1988 სასწავლო** წლის საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში კულტურულ-მასობრივ და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციის მიზნით რესპუბლიკის პროფსაბჭომ მიიღო დადგენილება. პროფკავშირული ორგანიზაციები კომკავშირულ ორგანიზაციებთან, სახალხო განათლებისა და კულტურის ორგანოებთან ერთად ამუშავებენ საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში ბავშვებსა და მოზარდებს შორის განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმას.

24-31 მარტს მოეწყობა საბავშვო და საყმაწვილო წიგნის, ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის მუსიკის კვირეული. სკოლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტული ნაგებობების, საბავშვო და საყმაწვილო კლუბების ბაზაზე, ტურისტულ მატარებლებში მოეწყობა პიონერთა ბანაკები და დღის ბანაკები. ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოს წინადადება მიეცა არდადეგების პერიოდში განახორციელოს მოსწავლეთა ტურისტული და საექსკურსიო მომსახურების ღონისძიებანი.

## აგრომრეწვი: დღის საზრუნავი

### გაზაფხული კარს მოგვადგა

**ჯერ კიდევ თოვლით არის დაფარული ხახნავები, ბაღის მწკრივთშორისები და ბოსტნები სამხრეთ ოსეთის მეურნეობებში, მაგრამ უკვე იგრძნობა, რომ სადაცაა ხეში წყალი ჩადგება, ახალი საზრუნავი გაუჩნდებათ მიწათმოქმედებს.**

**აი, რა აღბეჭდა საქინფორმის რეპორტიორმა ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.**

**საშემოდგომო ნათესში მინერალური სასუქები შეაქვთ ცხინვალის რაიონის ერედვის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორებს (პირველი სურათი).**

**ზნაურის რაიონის სოფელ მუგუთის კოლმეურნეობის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ილია ბესტაევი (მე-2 ფოტოსურათი), ათვალიერებს ვაშლის ხეებს: ხომ არ დადგა სხვლის დრო?**

**საქინფორმის ფოტოქრონიკა.**

## სოციალური სფერო: საყოფაცხოვრებო მომსახურება

**ვიდრე უშუალოდ ამ კითხვას მივადგებოდით, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ქ. ხალვაშიძე დარგში არსებულ პრობლემებზე გვესაუბრება. და ეს სრულიად ბუნებრივია.**

**„რაც შეიძლება მალე უნდა შეიქმნას თანამედროვე მომსახურების სფერო... უნდა განვახორციელოთ გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა აღმოიფხვრას მკვეთრი დისპროპორცია მომსახურებაზე მოთხოვნასა და მის გაწევას შორის", — ითქვა სკკპ XXVII ყრილობაზე. ადამიანის ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მისი ყოფისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება ხომ გარდაქმნის ძირითადი მიზანია. რა კეთდება ამისათვის რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში? არის თუ არა საამისო რეალური წანამძღვრები, რომ ხვალინდელი სერვისის კულტურის დონე მნიშვნელოვნად აღემატებოდეს დღევანდელს? აი დარგთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები.**

# სერვისი ხვალ:

### რას გვპირდება იგი?

**— მოდით, კრიტიკით დავიწყოთ. შარშან თბილისში სტუმრად ჩამოსულ ამერიკელებს, საერთოდ მოხიბლულებს საქართველოთი, ჩვენი ხალხით, უღიარებიათ, ერთი „მაგრამ" მაინც გაქვთ — სერვისი. ამერიკელებმა რად გვინდა, რომელმა ჩვენმა ნაცნობმა არ იცის ამ „მაგრამის" არსებობა, მით უმეტეს, ჩვენი სტუმართმოყვარეობის ამბავი რომ ვიცი, შეძლებისდაგვარად არანაირ მომსახურებას არ მოაკლებდნენ მათ. და მაინც, ეს „მაგრამ"... საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმზე მწვავედ გააკრიტიკეს დარგი...**

— ყველაფერი, სამწუხაროდ, სწორია. დასავლეთის ქვეყნების სერვისთან შედარებით ჩვენი მომსახურების სფერო, რასაკვირველია, ფრიად მოკრძალებულად გამოიყურება. სრულიად სამართლიანად გაგვაკრიტიკეს პლენუმზეც. უნდა ვაღიარო, რომ ვერ შევძელით აქტიური მონაწილეობა მიგვეღო რესპუბლიკაში ფულის მიმოქცევის პროცესის ნორმალიზაციაში. წლების განმავლობაში არაფერი გვიღონია დარგის დაწესებულებების საჭირო რესურსებით უკეთ მომარაგებისათვის, რასაც თავისი ლოგიკური შედეგი მოჰყვა. წარმოიშვა დიდი სხვაობა საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობაში ჩვენ მიერ ნაკისრ ვალდებულებებსა და ამ ვალდებულებათა მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფას შორის. თავად განსაჯეთ: 1980 წლის შემდეგ შვიდი წლის მანძილზე სამინისტროს ხაზით მომსახურების მოცულობა 70 მილიონი მანეთით გაიზარდა, ფონდები კი ძირითადად მასალებზე — მხოლოდ 7,6 მილიონი მანეთით. დისბალანსი აშკარაა, მაგრამ ხმას არავინ იღებდა, რადგან სამინისტროს საქმიანობის შეფასებას ამ ბოლო სამ წლამდე საყოფაცხოვრებო მომსახურების საერთო მოცულობა ედო საფუძვლად.

მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ, როდესაც შეფასების კრიტერიუმებში მომსახურების საერთო მოცულობასთან ერთად გათვალისწინებულია მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურება, თვალნათლივ გამოჩნდა სისტემაში კარგად ფესვგადგმული მეთოდი — გეგმების შესრულება გადარიცხვით გადასახდელ სამუშაოთა ხარჯზე. ამ არცთუ უცოდველ ტენდენციას ხშირად სოციალისტური კანონიერების დარღვევა ახლდა ხოლმე თან. გახსოვთ, ალბათ, 1982-1985 წლებში გაერთიანება „თოლიაში", აგრეთვე „თბილისყოფრემმშენის" ტრესტის № 6 სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში გამოვლენილი დატაცებანი უსაქონლო ოპერაციების გზით.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო კი იმისათვის არსებობს, რომ მოსახლეობას მოემსახუროს. ამიტომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვთხოვეთ, წლევანდელიდან ერთი საგეგმო მაჩვენებელი დაგვიმტკიცოს — მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების მიხედვით.

ერთიც უნდა ვთქვა: სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ადგილებზე ჩვენს ქვედანაყოფებს ხშირად სხვადასხვა ორგანიზაციისათვის სამუშაოთა შესრულებას ავალებენ, რაც დაუშვებელია. ამ სამუშაოებში საბაზრო ფონდის მასალებს იყენებენ, რაც, თავის მხრივ, საკასო გეგმის შესრულებაზე უარყოფითად მოქმედებს.

**— მეურნეობრიობის ახალი პირობები ახსენეთ. როგორ მოირგო თქვენმა სისტემამ ეს ახალი ფორმა?**

— სამინისტროში, სპეციალიზებულ გაერთიანებებსა და დაწესებულებებში, რაიონულ რგოლებში ფართო სჯა-ბაასი მიმდინარეობს, თუ როგორ უნდა წარვმართოთ ჩვენი საქმიანობა ახალ პირობებში, რა და როგორ უნდა შევცვალოთ, რომ რაც შეიძლება სრულყოფილად მოვამზადოთ ნიადაგი, ხატოვნად რომ ვთქვათ, სამი „თ"-ს კომბინაციისათვის — თვითდაფინანსება, თვითანაზღაურება და თვითმმართველობა, ესე იგი დამოუკიდებლობა. ეს ჩვენთვის აბსტრაქტულ ეკონომიკურ კატეგორიებზე საუბარი კი არ არის, არამედ — გზა დამკვეთთა მომსახურების რადიკალური გაუმჯობესებისაკენ.

დარგი 1985 წლიდან მონაწილეობს საკავშირო ექსპერიმენტში, რომლის მიზანი ამ სიახლის გავრცელებაა. 1986 წლიდან სამინისტრო უკვე მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობს.

პირველი დადებითი შედეგები უკვე არის. შარშან წინა წელთან შედარებით მომსახურების მოცულობა 10 მილიონზე მეტი მანეთით გაიზარდა. მათ შორის უშუალოდ მოსახლეობაზე გეგმით გათვალისწინებულზე 4 მილიონი მანეთით მეტი მომსახურება გავუწიეთ.

ახლა უკვე სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასასვლელად ვემზადებით.

**— თქვენს სფეროს ბევრი პრობლემა აქვს. რამდენად მოქმედებს ეს სიძნელეები საერთოდ დარგის განვითარებაზე და არსებობს თუ არა მათი გადაწყვეტის პრაქტიკული გზები ახლო მომავლისათვის?**

— პრობლემები მართლაც ბევრი გვაქვს. თუნდაც ტექნიკური აღჭურვილობა. ამჟამად მოქმედი დანადგარების მესამედზე მეტი გასაახლებელი ან საერთოდ შესაცვლელია. ამ პრობლემას გულგრილად როდი ვუყურებთ. ყოველწლიურად ვახლებთ დაზგადანადგარებს. მარტო შარშან 800-მდე ათასი მანეთის დიდმწარმოებლური თანამედროვე იმპორტული მანქანა შევიძინეთ, მათ შორის, მაგალითად, ხალიჩების საწმენდი დასავლეთგერმანული მანქანა „კანიგისერი", რომელიც „თოლიაში" დამონტაჟდა, მაგრამ ეს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს მაინც ვერ აკმაყოფილებს.

განვიცდით ნედლეულის და მასალის ნაკლებობას. ყველამ იცის, რომ დღესდღეობით ბინის გარემონტება ჩვენი ყოფა-ცხოვრების ერთ-ერთ ურთულეს პრობლემად ითვლება. მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ ამ ბოლო წლებში მოსახლეობას საშენი მასალების ნაკლებობის მიზეზით მილიონობით მანეთის მომსახურება დავაკელით. შარშანდელმა სტიქიურმა უბედურებამ ჩვენი შესაძლებლობები შეამოწმა, გამოჩნდა, რომ ჩვენ დროის მოკლე მონაკვეთში მხოლოდ გარემონტება კი არა, მშენებლობაც შეგვიძლია, მასალების მოწოდება რომ გვიწყობდეს ხელს.

ატელიეში მოსულ ადამიანს საკუთესო ხარისხის მოდური ფეხსაცმელი და ტანსაცმელი უნდა. მესამე-მეოთხე ხარისხის ტყავმასალით, რომლითაც ჩვენი ატელიეები მარაგდება, ამგვარი ფეხსაცმელი არ გამოვა. იგივე ითქმის ქსოვილზე. ასე რომ, ჩვენი დარგის განვითარება სხვა დარგებისაგან დამოუკიდებლად ძნელი წარმოსადგენია. ამიტომ მოითხოვს გარდაქმნა საქმისადმი კომპლექსურ მიდგომას.

**— პრობლემებს, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არსებული ბევრი ნეგატიური მოვლენაც ქმნის. აი თქვენ „თოლიასა" და „თბილისყოფრემმშენის" ტრესტის ფაქტები გაიხსენეთ. სხვა უსიამოვნო გასახსენებელი ამბები ცოტა როდია. სამწუხაროდ, მრავალი სახის დანაშაულობანი ხდება. ხომ არ თვლით, რომ მათს აღმოფხვრაში ზოგჯერ მოსახლეობაც გიშლით ხელს? მხედველობაში მაქვს ჩვენი ხალხის მოწადინება ყოველთვის ზედმეტი გადაუხადონ ამა თუ იმ ოსტატს, ხელოსანს. თქვენი აზრით, ეს რით აიხსნება?**

— ნეგატიურ მოვლენებს ჯერ საბოლოოდ ვერ მოვერიეთ. ეს ფაქტია. ანგარიშში მოტყუების, უხეშობის, მომხმარებლებისადმი არაკორექტული მოპყრობის, შეკვეთების გაჭიანურების ფაქტები კვლავ ბევრია. განსაკუთრებით სცოდავენ ამ მხრივ „თბილისინდფეხსაცმლის", „თბილისინდტანსაცმლის" გაერთიანებებს, თბილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკის, თბილისის სამოქალაქო მომსახურების კომბინატის ქვედანაყოფები.

ბიულეტენ „არგუმენტი ი ფაქტიში" სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემების საფუძველზე მოყვანილია ცხრილი „საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მიერ მოსახლეობის მომსახურების ხარისხი და კულტურა", საიდანაც ჩანს, რომ მოსახლეობისაგან შემოსული საჩივრების რაოდენობის მიხედვით საქართველო პირველ ხუთეულშია (ოთხჯერ მეტი საჩივარი, ვიდრე სომხეთში, ათჯერ მეტი, ვიდრე აზერბაიჯანში).

**— აი ეგ საპრიზო ადგილილა გვაკლდა! არ გვეყო სამარცხვინო პირველი ადგილები...**

— ალბათ, ვინმემ რომ ჯამი გამოიყვანოს, პირველ ადგილზე ვიქნებით კიდევ ერთი მონაცემის მიხედვით — მხედველობაში მაქვს ჩვენი მომხმარებლის სურვილი, ზედმეტი გადაუხადოს ოსტატს, თითქოსდა ის საკმარისი არ იყოს, რასაც ატყუებენ, ზედმეტს გამოსძალავენ. რა ვიცი, შესაძლოა არც აქ იყოს ძნელი საპოვნელი ჩვენი უნებლიე ბრალი — ყველაფერი რომ რიგზე მიდიოდეს, მომსახურება დროული და ხარისხიანი რომ იყოს, ხალხს მანეთების უადგილოდ გადაყრის სურვილი აღარ დაებადებოდა.

**— საყოფაცხოვრებო მომსახურება ჩვენი ცხოვრების იმ სფეროს განეკუთვნება, მოსახლეობის უშუალო, ყოველდღიურ სასიცოცხლო მოთხოვნილებებთან რომ არის დაკავშირებული. ამითაც არის ეს დარგი რთული. გამოსავალი მხოლოდ კონიუნქტურის შესწავლაა. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ უნდა დაინერგოს მომსახურების ახალი სახეობები, რა კეთდება ამ მხრივ სისტემაში?**

— ყოველწლიურად ოცამდე ახალი სახის მომსახურებას ვნერგავთ. სულ ცოტა ხნის წინათ გამოჩნდა ასეთი სახეობაც — საბავშვო ბაღი შინ. მართალია, მომსახურების ეს ფორმა მშობლებს შედარებით ძვირი უჯდებათ, მაგრამ იგი ბევრს მაინც აძლევს ხელს.

დაინერგა ვიდეოგაქირავებაც. მალე განხორციელდება ქსეროკოპირების ცენტრალიზებული წესით მომსახურება.

მოსახლეობას მოსწონს ბინების გაწყობა კედელში ჩატანებული ავეჯით, რბილი ავეჯის ქიმწმენდა, ავტომანქანების მსუბუქი რემონტი ბინაზე, ბინების ინტერიერის მხატვრული გაფორმება და სხვ.

**— ამ ბოლო ხანს მრავალ სფეროში წარმატებით იყენებენ საერთაშორისო კონტაქტებს. თქვენთანაც ხომ არ გიცდიათ ეს ფორმა?**

— თბილისობაზე, თუ ყურადღება მიაქციეთ, ქალაქის რესტავრირებული უბნების სალონებში გამოფენილმა ტანსაცმელმა და ფეხსაცმელმა საერთო ინტერესი გამოიწვია. ეს ბულგარელ დიზაინერთა მოდელების მიხედვით შესრულებული ჩვენი სისტემის ოსტატთა ნამუშევრები გახლდათ. ჩვენი და ბულგარეთის ასოციაცია „ინდუსტრია ადამიანისათვის" სპეციალისტების თანამშრომლობა განსაკუთრებულად მოდური, ელეგანტური სამოსის შექმნას ითვალისწინებს. ასეთივე კონტაქტები გვინდა დავამყაროთ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ სხვა ქვეყნებთან.

**— სერვისის გაუმჯობესებაში ხვალ ალბათ კოოპერატივიც იტყვის თავის სიტყვას. დღეს ეს სიახლე მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს. როგორია მისი მომავალი? სწორი გზით მიდის თუ არა მისი განვითარება? პრობლემები, ალბათ, აქაც არის...**

— ამ სიახლეს მომავალი უდავოდ აქვს, ამიტომ ყოველნაირად ვუწყობთ ხელს მის განვითარებას. ჩვენს სისტემაში ორმოცზე მეტი კოოპერატივი ფუნქციონირებს. მაგრამ აქ ერთი სერიოზული პრობლემა გაჩნდა უკვე: სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომები, წესისამებრ, კოოპერატივების შექმნაზე თანხმობას სამინისტროებთან შეუთანხმებლად იძლევიან, რის შედეგადაც კოოპერატივები ჩვენი დუბლიორების როლში გამოდიან, იმის ნაცვლად, რომ თვითონ იკისრონ ის მომსახურება, რომელიც გვაკლია.

იგივე უნდა გავიმეოროთ საწარმოთა მიმართ, რომლებმაც მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე მომსახურების სფერო უნდა აირჩიონ, და არა, ვთქვათ, საპარიკმახერო საქმე. დადებით მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა. აქ ჩვენ ფუნქციებში ჩაურევლად კარგად განავითარეს მომსახურების ისეთი ფორმა, როგორიც არის წარმოების ნარჩენებისაგან ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების დამზადება და ლითონდამუშავება.

**— ერთი სიტყვით, როგორც ვატყობ, შეგვიძლია მკითხველს საიმედო სიტყვა ვუთხრათ: მეურნეობრიობის ახალი პირობები, ჩვენი ცხოვრების მრავალი სფეროს სახეკეთილად გარდაქმნას რომ გვპირდება, სერვისშიც აისახება...**

— აუცილებლად. ჩვენი დღევანდელი კონკრეტული საზრუნავი სწორედ მაგ იმედის რეალობად გადაქცევაა.

**გ. ხარებაშვილი.**

# უცხოეთში

## საქდესი იუწყება

4 მარტი

### მოვლენის წინ

## დიდმნიშვნელოვანი ვიზიტი

**ბელგრადი.** ჩვენ მოველით, რომ იუგოსლავიაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მომავალი ოფიციალური მეგობრული ვიზიტის დროს გაიმართება ყოვლისმომცველი აზრთა გაზიარება მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებსა და გარდაქმნებზე, მათი განვითარების პერსპექტივებზე თანამედროვე საერთაშორისო ვითარების კონტექსტით, განაცხადა აქ გამართულ ბრიფინგზე იუგოსლავიის საგარეო საქმეთა საკავშირო სამდივნოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ა. სტანიჩმა. დიდი ყურადღება დაეთმობა სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის შემდგომი ნაყოფიერი თანამშრომლობის საკითხებს.

იუგოსლავიის დიდმნიშვნელოვან ნაბიჯად მიაჩნია საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიებიდან საბჭოთა რაკეტების გატანის შესახებ. იუგოსლავია მიესალმება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულებას საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების მოსპობის თაობაზე, და თვლის, რომ ეს არის ბირთვული განიარაღების, საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში დიდებითი ცვლილებების პროცესის დასაწყისი, აღინიშნა ბრიფინგზე.

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

## მოწოდება უშიშროების საბჭოსადმი

**ნიუ-იორკი.** აქ გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სასწრაფო სხდომა, რომელიც მოიწვიეს აფრიკის ქვეყნების ჯგუფის თხოვნით სამხრეთ აფრიკაში ვითარების მკვეთრი გამწვავების გამო.

სასტიკი რეპრესიები, რომლებიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფლებმა თავს დაატეხეს მკვიდრ მოსახლეობას, პოლიტიკური, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის აკრძალვა შეურაცხყოფს აპარტეიდის სამარცხვინო სისტემის ლიკვიდაციისათვის მებრძოლ საერთაშორისო გაერთიანებას. ეს განაცხადა სხდომაზე გამოსვლისას აფრიკის სახელმწიფოთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სიერა-ლეონეს მუდმივი წარმომადგენლობის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა შეკა ა. მანსარეიმ. მან მოუწოდა უშიშროების საბჭოს დაგმოს რასისტები და ყველა საჭირო ღონისძიება განახორციელოს მათი ბოროტმოქმედების აღსაკვეთად.

## ნაჯიბულას წერილი

**ნიუ-იორკი.** ავღანეთის პრეზიდენტმა ნაჯიბულამ წერილი გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელშიც იგი სთხოვს დახმარებას ჟენევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიმდინარე ავღანეთ-პაკისტანის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებასა და შეთანხმებათა ხელმოწერაში.

ეს განაცხადა პრესკონფერენციაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ავღანეთის მუდმივმა წარმომადგენელმა შაჰ მუჰამედ დოსტმა. ავღანეთის მთავრობა სერიოზულად მოემზადა ჟენევაში დაწყებული მოლაპარაკების რაუნდისათვის და ყველაფერს იღონებს, რათა საქმით დაამტკიცოს თავისი კეთილი ნება, თქვა მან. თითქმის 9 წლის მანძილზე მიმდინარე ომითა და მძიმე დანაკარგებით გატანჯულ ავღანელ ხალხს ეროვნული შერიგებისა და ჟენევის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების დიდი იმედი აქვს. მაგრამ ამ მიზნის მიღწევა მოითხოვს მეორე მხარის პოზიტიური პოლიტიკური ნების გამოვლინებასაც.

◆ ინგლისი

## შეიქმნა ახალი პარტია

**ლონდონი.** ოქროსფერი ოთხკუთხედი იქცა დიდი ბრიტანეთის ახალი პარტიის — სოციალ-ლიბერალ დემოკრატთა პარტიის სიმბოლოდ. მისი დაბადება საზეიმოდ გამოაცხადეს ხუთშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე ლიბერალური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების ლიდერებმა დ. სტილმა და რ. მაკლენანმა.

„მესამე პოლიტიკური ძალა", როგორც მას პრესამ უწოდა, სწორედ ამ ორი პარტიის შერწყმით იშვა, რომლებიც ბოლო წლებში პოლიტიკურ ასპარეზზე ალიანსით გამოდიოდნენ. მოლაპარაკების პროცესი რთული და მეტად წინააღმდეგობრივი იყო, რამაც ცხადყო სერიოზული უთანხმოებანი მთელ რიგ საკითხებში. ადგილობრივი პრესის აზრით, ნამდვილი პრობლემები ახალი პარტიისათვის ახლა იწყება: დღის წესრიგშია ლიდერის არჩევა, მოქმედების გრძელვადიანი სტრატეგიის, მომავალ არჩევნებში ბრძოლის ტაქტიკის შემუშავება.

◆ სამხრეთ კორეა

## ოპოზიცია გაერთიანდა

**ტოკიო.** სამხრეთ კორეის ორმა ძირითადმა ოპოზიციურმა პარტიამ მიიღო ოფიციალური გადაწყვეტილება — გაერთიანდნენ. შეერთებისათვის მებრძოლმა დემოკრატიულმა პარტიამ და მშვიდობისა და დემოკრატიის პარტიამ ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგეს, რომ ეროვნული კრების აპრილის არჩევნებში ერთიანი ფრონტით გაილაშქრონ პრეზიდენტ რო დე უს მმართველი პარტიის კანდიდატთა წინააღმდეგ. ორივე ოპოზიციურმა პარტიამ, რომლებსაც კონტროლს უწევენ თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეები კიმ ენ სამი და კიმ ტე ჯუნი, პარტიული ყრილობები მოაწყვეს შეერთების გზაზე საჭირო ნაბიჯის გადასადგმელად. ეს შეერთება მომავალ კვირაში უნდა მოხდეს. ორი დაჯგუფების წარმომადგენლებმა დათქვეს მოიწვიონ გაერთიანებული სხდომა, რათა შეიმუშაონ შეერთების ძირითადი წესები, განიხილონ ხელმძღვანელობისა და საარჩევნო სტრატეგიის საკითხი.

### ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **ათენი.** საბერძნეთის დედაქალაქში გაიმართა ლიცეუმებისა და საშუალო სკოლების მასწავლებელთა და მოსწავლეთა მასობრივი დემონსტრაცია. დემონსტრანტებმა ჩაიარეს ათენის ქუჩებში და ხელისუფალთაგან მოითხოვდნენ ქვეყნის განათლების სისტემის წინაშე მდგომი მწვავე პრობლემების გადაჭრას, ღონისძიებათა განხორციელებას ახალგაზრდობაში უმუშევრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

◆ **დამასკო.** როგორც იერუსალიმის აღმოსავლეთით (არაბული) სექტორის ერთ-ერთი ჰოსპიტლის ექიმებმა განაცხადეს, ისრაელის ჯარებმა პალესტინელთა წინააღმდეგ დაიწყეს ახალი სახეობათა მომწამვლელი ნივთიერებების გამოყენება.

◆ **პარიზი.** საფრანგეთის ქალაქ პიერლატში მდებარე ბირთვული საწვავის მამდიდრებელ ქარხანაში მოხდა ფთორის ურანის გამოჟონვა. როგორც საწარმოს დირექცია იტყობინება, რადიაქტიული ნივთიერებების გაჟონვა მოხდა წნევის მარეგულირებელი ბლოკიდან. მიღებული ინფორმაციის თანახმად, ფთორის ურანის ძირითადი ნაწილი ქარხნის შენობაში დარჩა.

### მხატვრის კომენტარი

„ეკოლოგიური ვითარება ათენში უკვე დიდი ხანია საბერძნეთის დედაქალაქის მცხოვრებთა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. მარტო შარშან ზაფხულს სმოგისაგან ათასზე მეტი კაცი დაიღუპა" (გაზეთებიდან).




ასე აქვს წარმოდგენილი ეკოლოგიური ვითარება საბერძნეთის გაზეთ „რიზოსპასტისის" მხატვარს.

## თვალსაზრისი

# ღირსების გრძნობით, საქმის ცოდნით, სიბრძნით აღემართენით

მწერლის ჩანაწერები

### 1.

**ახლა** სხვა დრო დადგა—მოაზროვნე და ინიციატივიანი ადამიანების დრო. ისტორიას სამუდამოდ უნდა ჩაბარდეს ის ხანა, როცა მრავალრიცხოვანი ტრიბუნებიდან მრავალმხრივ შელამაზებული საგამარჯვებო რელაციები მსმენელში მხოლოდ ერთ რეაქციას გულისხმობდა: ტაშით აქებლო იქაურობა.

თუ, ჩვეულებრივ, წარმოშობის მომენტიდან ტაში გამომსვლელის მხარდაჭერას და ნათქვამის გაზიარებას გულისხმობდა, ჩვენი ცხოვრების მოდუნება-მინელების წლებში იგი თანდათან იქცა ფორმალურ რიტუალად, რომლის მილმა ალარაფერი კიაფობდა.

რას გვეუბნება დღეს ქვეყნის წარმმართველი ბირთვი მიხეილ გორბაჩოვის სახით?

იგი გვეუბნება:

**„არაფერი არ ხორციელდება ადამიანის შეგნების მიღმა, არაფერი არ კეთდება უმისოდ".**

შეგნებაზე, ამდენად, გონივრულ ანალიზზეა საუბარი.

**„ჩვენ დავიწყეთ საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმების გარ-**

**ავს მაქსიმალურ შესაძლებლობებს ცხოვრებით, საზოგადოებრივ გარდაქმნებში მონაწილეობის პირადი გამოცდილებით ადამიანთა აღზრდისათვის, და არა მარტო სახავს, იგი მოითხოვს, რომ ეს შესაძლებლობები გამოიყენებოდეს რეალურად, ნამდვილად. ეს არის, საკუთრივ, გარდაქმნის არსი".**

აი, ასე: მოითხოვს!

ეს ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სულ ბოლო პლენუმზე, ითქვა ჩვენთვის, ყველასათვის.

თქვენ წინაშეა პრაქტიკული მოღვაწეობისა და შემოქმედებითი აზროვნების ახალი ასპარეზი.

ახლა ნათლად უნდა გამოიკვეთოს: ვინ ვინ არის და რა რა არის. შემგუებლობისა და შენიღბვის დრომ გაიარა.

ყველაფერ ამას მიუმატეთ ის, რაც ადრე ითქვა ამ სამი წლის მანძილზე.

გარდაქმნას, გადახალისე ბ ა ს, ახალს მიეცა მძლავრი იდეოლოგიური ბიძგი. ახლა თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული, რას მივაღწევთ.

მოაზროვნენო და ინიციატივიანნო, თქვენი დრო დადგა, გამოდით გარეთ, გვაჩვენეთ თავი!

ცხოვრება წინ მიდის და თქვენგან თავდადებას მოითხოვს...

### 2.

...

რად აბნევს პიროვნებას მისი უეცარი შემობრუნებანი.

ესაა სწორედ საზომი:

შეიძლება ორიენტაცია დაკარგო და ადამიანობა შეინარჩუნო.

შეიძლება ადამიანობა დაკარგო და ორიენტაცია შეინარჩუნო.

...

მართლა ასეთნი ვართ?

ვაი ჩვენი ბრალი ამგვარი ჟურნალისტების ხელში...

### 5.

**ვერავითარი** მეცნიერული ...

...

მეორე მხრივ, გლობალური საკითხებიც პრაქტიკულად ყოველთვის კონკრეტულ მასალაზე განიხილება, რადგან განყენებული მსჯელობანი ლიტერატურას უსაგნო რიტორიკად აქცევს და მყარ საფუძველს — ცოცხალი ცხოვრებ-...

...

რობა და მლიქვნელობა?

და ბოლოს:

**„გარდაქმნას ასაზრდოებს თითოეული ადამიანის ცოდნა, გონება და გამოცდილება, საუკეთესო ადამიანური თვისებები. იგი სახ-...**

**როგორ** უკულმართად უნდა გაზრდილიყო პიროვნება, რა ვითარებაში უნდა დაეკარგა შინაგანი ღირსების, კეთილშობილების, სამართლიანობისა და აუცილებე-...

...ოლით და მიზანსწრაფულით გამოიყება არსებული, თანაც მის მიერვე ხელოვნურად გამწვავებული, ულირსი დეტალებით „დამშვენებული" ვითარება სამართლიანობის აღსადგენად თუ დასამყარებლად ჩვენში?

...მელიც პირობით უსასრულობიდან (ენისა და ერის საწყისიდან) მოდის და პირობით უსასრულობაში (ენისა და ერის სასრულამდე) მიდის.

თუ ამის შინაგანი, თუნდაც გაუცნობიერებელი, შეგრძნება...

...ნიშნულთან უშუალოდ დაკავშირებულს: როგორც საერთოდ ინტელიგენტობის თანდათანობითი დევალვაცია ხდება (მისი რიგების უზომო გამრავალრიცხოვნების, აჭრელების და ამით პრესტიჟის...

...ვითომ რაიმე შეიცვლება?

მართლა ეს ვართ ჩვენ, დღევანდელი ქართველები?

არ მჯერა და ვერც დავიჯერებ!

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲑᲣᲐᲩᲘᲫᲔ.

## ექო: შეიცან თავი შენი

„კომუნისტი", 1988 წ. 28 თებერვალი.

# წერილი „კომუნისტს"

— **შეიცან** თავი შენი — ამ შეგონებით ზრდიდნენ შთამომავლობას მამა-პაპანი. ადამიანური ვალისა და ტვირთის კეთილსინდისიერი შეგნებისა და ტარების სულისკვეთება უძევს საფუძვლად კაცობრიობის ისტორიას. ამ სწორი გზიდან გოგებაშვილის ქვეყნის შვილებს არც არასოდეს გადაუხვევიათ.

ჩვენ, საბჭოთა საქართველოს ყმაწვილი თაობის აღმზრდელებს, რომლებსაც ბავშვის სულიერი სამყარო გვაბარია და მათი მოქალაქედ, სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეს ვემსახურებით, საიმედო საყრდენად და თანამგზავრად კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაც მიგვაჩნია, საიდანაც ამაღლებული, რაინდული სულის ღაღადისი და საგალობელი ისმის ყველა თაობათა სმენად და დასამოძღვრად.

მისი პირდაპირი მემკვიდრე კი სჩადის იმას, რაც ათასი ჯურის გადამთიელმა ვერ მოუხერხა პირსა შიგან ქვითკირივით გამაგრებულ საქართველოს და ქართველობას.

ბატონო ზვიად, რატომ აზვიადებ შენი მშობელი ხალხის ჯანსაღ სულზე აქა-იქ დაჩნეულ ლაქას?

რატომ გგონია, რომ შენი ერი გადაგვარების წინაშეა და ერისკაცის მისია შენ გაძევს ტვირთად?

და თუ მართლა თავი მამულის ჭირისუფლად მიგიჩნევია, ქართული სკოლის სატკივარი გაწუხებს, შვილი მისი კედლებიდან კი არ უნდა გამოგეყვანა, იმ სოლიდური თანხიდან, რომელსაც შენგან ლიბრგადაკრულ თვალებით დანახული საბჭოთა სახელმწიფო გაძლევდა, მცირე ნაწილი მაინც სწავლა-განათლების კერების კეთილდღეობისათვის გაგეღო, ან, შენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „კატასტროფულ მდგომარეობაში" მყოფი რომელიმე მატერიალური...

...

...შრომის ვეტერანი, განათლების განყოფილების მეთოდისტი

**ლეილა ტორონჯაძე** — 143-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, სახალხო განათლების წარჩინებული

**ვახტანგ გამეზარდაშვილი** — 141-ე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

**ვალენტინა იმნაძე** — რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, მეთოდისტი, 114-ე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

# გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

## საიუბილეო გამოფენა

**1926 წელს** იაკობ ნიკოლაძის ხელმძღვანელობით აკადემიაში ქანდაკების ფაკულტეტის კათედრასთან ჩამოყალიბდა კერამიკის სახელოსნო, სადაც სამუშაოდ მიიწვიეს მოსკოვის სტროგანოვის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის კურსდამთავრებული მხატვარი ბორის შებოევი. 1927 წელს სამხატვრო აკადემიაში გაიხსნა კერამიკის ფაკულტეტი.

ამ ფაკულტეტის დაარსების 60 ...

...

...და გამოფენებში. და მაღალი შეფასებაც დაუმსახურებიათ. ამის დასტურია ის მედლები, საპატიო დიპლომები, რომლებიც მათ მოიპოვეს ქენევის, ვალორისის, დორტმუნდის თუ სხვა საზღვარგარეთულ გამოფენებში.

მხატვრის სახლში საიუბილეოდ გამოფენილი ნამუშევრები თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მხატვარ-კერამიკოსთა სხვადასხვა თაობას წარმოადგენენ. მათი უმრავლესობა რესპუბლიკის მხატვრული ცხოვრების წამყვანი ძალაა. აქ ექსპონირებულია ს. სულხანიშვილის „დოქი", „ტორსი", „დოქი ფიალებით", ა. კაკაბაძის დეკორატიული „დოქი და თეფში", გ. იაშვილის — „მხედარი" და „ლარნაკი", ბ. სესიაშვილის — „ქალი ბავშვით", ქ. რუხაძის — ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!", „დეკორატიული კომპოზიცია და ცეკვა", თ. გიგაურის — „კახეთი", „ქართლი", რ. იაშვილის — ...რთველიშვილის — „ჯიხვი", „მარანი", მ. ჩიხლაძის — „ლანგარი", ნ. კიკნაძის კომპოზიციები, ნ. ხეჩუაშვილის ლარნაკები, ქ. კარგარეთელის — „დეკორატიული დოქი და მარანი", ქ. ფორჩხიძის „ხევსური" და სხვ.

ეს ნიმუშები ყურადღებას იქცევს მრავალფეროვანი თემატიკითა და კერამიკული ხელოვნების სრულყოფილებით, შესრულების ორიგინალური მანერით.

## მეგობრების ხელოვნება

**თბილისის** კინოს სახლში, უჩვენეს ახალი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როგორც ხართ, ისე როგორ არიან". მართალია, ფილმი მოსკოვის მ. გორკის სახელობის სტუდიის ნაწარმოებია, მაგრამ იგი თბილისზეა, მისი ავტორებიც და მონაწილე მსახიობებიც თბილისელები არიან და რაღა გასაკვირია, რომ ყველას აინტერესებდა ეხილა მშობლიურ ქალაქზე გადაღებული ახალი ფილმი.

პრემიერამ წარმატებით ჩაიარა. კინოს სახლის ვესტიბიულებში დიდხანს არ შეწყვეტილა ცხოველი აზრთა გაზიარება და მილოცვები. გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის თხოვნით კინომცოდნე ბიორგი დოლიძე შეხვდა ფილმის დამდგმელ რეჟისორს სამველ გასპაროვს და გაესაუბრა მას.

# მადლობელი ვარ ამ ცრემლისათვის!

— თბილისში დაბადებული და გაზრდილი კაცი ბრძანდებით, მოდით, ოფიციალურ სახელს „სამველს", როგორც ფილმის ტიტრებში იხსენიებით, თავი დავანებოთ და უბრალოდ „სიომას" გიწოდებთ, როგორც გიცნობენ ჩვენს ქალაქში. თორემ ხომ იცით თბილისელების ამბავი, ეწყინებათ, ეს ჩვენი სიომა მოსკოვში რომ წავიდა, სახელიც გამოუცვლია, ეგებ აღარც გვიკადრისო...

— რაღა წასვლაა, თუ ძმა ხარ, სულ თბილისისკენ მიჭირავს თვალი, და ერთი ხელის დაქნევა კმარა, შერემეტიევოში გავრბივარ ხოლმე. კოლეგები დამცინიან კიდეც. შეთავსებით აეროფლოტშიც ხომ არ მუშაობო.

— ჩვენი დღევანდელი საუბარი გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებისათვის არის განკუთვნილი. ასე რომ, ალბათ, არ გაგიკვირდებათ, თუ ისეთ რამეს შეგეკითხებით, რაც მე, როგორც კინომცოდნემ, ისედაც უნდა ვიცოდე...

— კეთილი, მაგრამ ახლა საჭიროა იმის გარკვევა, თუ როგორ ...ალმოჩნდი თბილისელი კაცი გორკის სტუდიაში, და საერთოდ, როგორ გავხდი რეჟისორი. ასეა, ხომ?

— ყოჩაღ, სიომა, ასე კარგად რომ გაიგე ჩემი ამოცანა. მხოლოდ არ გამოგრჩეს, რომ მძღოლობით დაიწყე. ხომ იცი, თითქმის თანატოლები ვართ და კარგად მახსოვს ყველაფერი.

— რას ბრძანებთ! გამომრჩეს კი არა, მეამაყება კიდეც, რომ სკოლის დამთავრებისთანავე შრომა შევუდექი. სხვათა შორის, სწორედ მძღოლად მიმიღეს კინოსტუდია „ქართულ ფილმში".

— მახსოვს, მახსოვს, მთელი სტუდია ლაპარაკობდა მაშინ, როგორ „გაგიხერხეს" ერთობ ორიგინალური „შტატი" მძღოლ-ასისტენტისა.

— თქვენ მართლაც კარგი მეხსიერება გქონიათ. ეს „შტატი" რეჟისორმა იური ქავთარაძემ გამომიძებნა, რომელიც მაშინ, 1960 წელს, კინოფილმ „ჭიაკოკონას" იღებდა. ჩვენს სტუდიაში თუ კარგი თვალით შეგხედეს, ყველაფერს გაგიკეთებენ როგორღაც რომ შეგაგულიანონ ახალგაზრდა კაცი და ფეხზე დაგაყენონ. ესეც ქართული ხასიათია, თბილისური კოლორიტი. შემდეგ რეჟისორ ლეილა გორდელაძესთან ვიმუშავე. ადვილი წარმოსადგენია, რა ბედნიერება იყო ამ წრეში ტრიალი, ამ სკოლის გავლა. ასე რომ, იმდენად შევგულიანდი, კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტს მივაკითხე, ბედმა აქაც გამიღიმა და მიხეილ რომის კლასში მოვხვდი. 1969 წელს დავამთავრე ინსტიტუტი, ჩამოვედი და თენგიზ აბულაძესთან ვიმუშავე ფილმზე „სამკაული ჩემი სატრფოსათვის".

— პირველი დამოუკიდებელი დადგმა?

— ეს უკვე ოდესის კინოსტუდიასთან არის დაკავშირებული. ფილმს ეწოდებოდა „რეისი პირველი, რეისი უკანასკნელი". ამ ფილმში ბუხუტი ზაქარიაძე მივიწვიე. სხვათა შორის, გუჯა ბურდულის კინოაქტიორული დებიუტიც მაშინ შედგა, ხოლო ჩემს მეორე ფილმში — „სიძულვილი" მან უკვე მთავარი როლი შეასრულა. ოდესის კინოსტუდიაშივე გადავიღე „დაივიწყეთ სიტყვა სიკვდილი".

— უნდა გამოგიტყდეთ, მაოცებს თქვენი უაღრესი ნაყოფიერება. ბოლო ათ-თორმეტ წელიწადში ათი ფილმი გადაიღეთ, მარტო გორკის სტუდიაში 1981 წელს — „პური, ოქრო, ნაგანი", 1982-ში — „მეექვსე", 1983-ში — „განსაკუთრებული რისკის გარეშე", მერე პირველი საბჭოთა-კავშირ-ვიეტნამის ერთობლივი ფილმი „სიკვდილის კოორდინატები" და, ბოლოს, დღევანდელი სურათები. პრაქტიკულად ასე ზედიზედ და შეუსვენებლივ მუშაობა, სხვა თუ არაფერი, რომ იტყვიან, ჯოჯოხეთურ შრომას მოითხოვს. ან როგორ ახერხებთ, ან როგორ ასწრებთ, როგორ უძლებთ...

— რა ვიცი, როგორ გითხრათ, მაგრამ ახლა თუ არ ვიმუშავე თავდაუზოგავად, მერე როდისღა, მეორე ნახევარში რომ გადავალ და დალმართს დავუყვებით?! ასეა თუ ისე, რაც დღემდე მიმუშავია რეჟისურაში დამოუკიდებლად, სულ მოვისწრაფოდი იმ დიდი და სანუკვარი — ხომ კარგი სიტყვაა არა, **სანუკვარი** — თემისაკენ, რომელსაც **„თბილისი"** ეწოდება.

და აი, ორი წლის წინ, როგორც იქნა, შევუდექი ამ ფილმის განხორციელებას. ეს ფილმი მხოლოდ ავტობიოგრაფიულია-მეთქი, რომ ვთქვა, თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან აქ ყველაფერია, ყველაფერი მასში მოვაქციე, ყოველ შემთხვევაში, მინდოდა ყოფილიყო, რაც კი ბავშვობაში მინახავს, განმიცდია, გადამიტანია — დედა, მამა, ძმა, ოჯახი, ნათესავები, მეზობლები თუ მეგობრები... ღმერთო, რჯული, ხატი, არაფერი გამომიგონებია! თბილისელ კაცს რისი გამოგონება სჭირდება საკუთარი ბავშვობის ეკრანზე ასასახავად!

— ?!

— დიახ, მეორე და მესამე ფილმზეც ვმუშაობ.

— ეს უკვე ჩემთვისაც სიახლეა, ასეთი ინფორმაცია ჯერ არსად გამოქვეყნებულა, ესე იგი იქნება არა ტრადიციულად სამსერიიანი ფილმი, არამედ ტრილოგია.

— დიახ, მეორე ფილმის ლიტერატურული სცენარი უკვე დაიწერა. მას ეწოდება „ჩვენი ბედი და უბედობა" და მოიცავს 1946-1956 წლებს.

— მესამე?

— მესამე თანამედროვეობას ეხება.

სცენარისტი და კოლექტივი იგივეა?

— დიახ, სცენარისტი ისევ აგასი აივაზიანია, რომელთანაც ერთად ვმუშაობ წლების მანძილზე. გადამღები ჯგუფის წევრებიც იგივენი იქნებიან, შეიცვლებიან მხოლოდ მსახიობები, რაკი ჩვენს გმირებს ასაკიც ემატებათ. მსახიობები კი, როგორც ნახეთ, სულ თბილისელები არიან რამაზ ჩხიკვაძით დაწყებული და ია ნინიძით დამთავრებული.

— ძვირფასო სიომა, გულწრფელად მინდა მოგილოცოთ თქვენი ფილმის თბილისური პრემიერა. ალბათ, არ გაგიკვირდებათ, რომ მაქვს რამდენიმე პროფესიულ-კრიტიკული შენიშვნა როგორც დრამატურგიული, ისე რეჟისორული გადაწყვეტის თუ აქტიორული ოსტატობის თვალსაზრისითაც. ჩემი ვალია ესეც პირუთვნელად მოგახსენოთ, ეგებ მომავლისთვის გამოგადგეთ, მაგრამ ეს სხვა დროისათვის გადავდოთ, როცა ფილმი ეკრანზე გამოვა და რეცენზიას დავწერ. ახლა კი მხოლოდ, თუ შეიძლება ითქვას, საინფორმაციო-საუწყებო ხასიათის საუბარი გვქონდა. სხვათა შორის, ჩემ გვერდით მსახიობი გრიგოლ წიტაიშვილი იჯდა და ვცდილობდი არ შევემჩნია, რამდენჯერმე ცრემლი რომ მომადგა თვალზე, ადამიანის სულის მოძრაობის ისეთ ფაქიზ სიმებს შეეხეთ. მადლობელი ვარ ამ ცრემლისათვის.

— მეც მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც კინოს სახლში მობრძანდა და ვინც საერთოდ ასეთი დიდი ყურადღება გამოიჩინა ჩემ მიმართ. ღმერთმა შემაძლებინოს ამ საკეთის გადახდა, რომ იცოდეთ, როგორ ვღელავდი. ხომ იცით, თბილისური პრემიერა რას ნიშნავს!

# კონგრესმა მუშაობა დაამთავრა

**ჩვენმა** მკითხველებმა იციან, რომ თბილისში გაიმართა კინემატოგრაფისტ ქალთა საერთაშორისო ასოციაციის დამფუძნებელი კონგრესი.

რამდენიმე დღის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კინემატოგრაფისტი ქალები განიხილავდნენ პრობლემებს, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს მათს მუშაობაში და საერთო ძალისხმევით უნდა გადაწყდეს.

კონგრესმა მიიღო წესდება და აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები. როგორც ვიცით, ასოციაციის პრეზიდენტად არჩეულია კინორეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლანა ღოღობერიძე.

* * *

სურათზე: კონგრესის მონაწილენი — ინგლისელი რეჟისორი სალი პორტერი და ქართველი კინოკრიტიკოსი კორა წერეთელი.

ბ. ცაგარლის ფოტო (საქინფორმი).

## დღევანდელი ნომრის სტუმარი

# „შინაური კაცის" ფიქრები

**ეს თენგიზ სამსონაძეა — ჩვენი „შინაური კაცი", „კომუნისტის" თითქმის ყველა საზეიმო ნომრის პლაკატების ავტორი, მხატვრულად გამფორმებელი. ჩვენში რომ ვთქვათ, შინაურ მღვდელს შენდობა უნდა ჰქონდეს, ამიტომ გვინდა სიყვარულის წილ სიყვარული გავუმხილოთ ჩინებულ მხატვარს და დაბადების 60 წელი მივულოცოთ.**

**თენგიზ სამსონაძე მრავალმხრივი შემოქმედია. მართალია, 1955 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის დაზგური ფერწერის განყოფილება, იყო გ. ჯაშის, კ. სანაძის, მ. თოიძის, უ. ჯაფარიძის საყვარელი შეგირდი, შეასრულა მშვენიერი სადიპლომო — „ქართველები პეტრე პირველთან" და როგორც იტყვიან, „იმედის მომცემ" ფერმწერად ითვლებოდა, მაინც, რატომღაც სხვა ჟანრებისკენ გაუწია გულმა.**

სამაგიეროდ თ. სამსონაძის ნიჭმა და უნარმა ერთიანად გაიბრწყინა პლაკატში, წიგნის გრაფიკაში, სცენოგრაფიაში, მულტიპლიკაციაში, კინოში, ტელეგრაფიკაში...

— სწორედ მაშინ — 1956 წელს საქართველოს ტელევიზია გაიხსნა. მოგეხსენებათ, ახალი ხილი იყო, „მაცდუნა" ამ ხილმა, და ტელევიზიაში დავიწყე მუშაობა მთავარ მხატვრად. თავისთავად საინტერესო იყო იქ მუშაობა, ბევრი რამ შემძინა..

**— ბატონო თენგიზ, უეჭველია, საქართველოს ტელევიზიის, მისი სახვითი მხარის გულშემატკივარი დღესაც იქნებით, ამიტომ ხომ არაფერს ურჩევდით თქვენს კოლეგებს, ტელემხატვრებს?**

— მე კარგად ვიცნობ მათ „სამზარეულოს", ვიცი რა ტექნიკური საშუალებებით მუშაობენ, ჰოდა, აბა, რა უნდა ვთქვა... ნიჭი, გამოცდილება და შემართება, იცოცხლეთ, არ აკლიათ, მაგრამ ყველაფერს ამას თუ ტელევიზიაშ უმაღლესი ტექნიკა არ ემატება, ძნელია ჩანაფიქრის რეალიზაცია..

**— თქვენ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევით — სამხატვრო აკადემიაში ზოგადი ფერწერის კათედრის გამგე ბრძანდებით. რას გვეტყვით ახალგაზრდებზე?**

— მომავალ მხატვრებს გულისხმობთ, არა?

**— დიახ.**

— იცით რა... ასე მგონია, მათ ნაკლებად უყვართ-მეთქი პროფესია, ხოლო რამ გამოიწვია ეს, ვერ ამიხსნია. იქნებ ინფორმაციის სიჭარბემ? იქნებ იმან, ჩვენ რომ ვიყავით ჩარჩოებში მომწყვდეული, ის დრო აღარ არის და მხატვრობა უფრო თავისუფალი გახდა... მათ ჰგონიათ, რომ უკვე ყველაფერი იციან, დასრულებული მხატვრები არიან... ასეთმა ფიქრმა კი მოდუნება იცის, რაც მეტისმეტად საშიშია. მე ვურჩევდი ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს, რომ თავიანთი ნიჭი ყოველდღიური, დაუღალავი შრომით აწრთონ...

**— ამ ცოტა ხნის წინათ გაიმართა საქართველოს მხატვართა ყრილობა, ახლახან კი — საბჭოთა კავშირისა. ამ ფორუმებმა დიდი ამოცანები დაუსახა სახვითი ხელოვნების ოსტატებს. უეჭველია, რომ ამ დარგშიც უნდა მოხდეს კეთილისმყოფელი გარდაქმნა. საინტერესოა, თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ იგი?**

— მე მგონია, რომ ახლა მეტი შესაძლებლობები იქნება ნაყოფიერი მუშაობისათვის, ნიჭისა და უნარის მაქსიმალური გამოვლენისათვის. აბა, შემოქმედ კაცს მეტი რა უნდა?! ხედავთ? აბსტრაქციონისტების გამოფენაც კი გაიმართა თბილისში.... ასეთ შემოქმედებით თავისუფლებას რა სჯობს...

**— თქვენ თავად თუ მართავთ გამოფენას? „საიუბილეო გამოფენას"..**

— ასე უცებ ძნელია... დიდი დრო უნდა ნამუშევრების მომზადებას, წესრიგში მოყვანას. აქ რომ ერთი ჟანრი იყოს, რა თქმა უნდა, ადვილი იქნებოდა, მაგრამ ფერწერა, პლაკატი, წიგნის გრაფიკა, კინო, თეატრი, ტელევიზია... ნამუშევრები ბევრია და შერჩევა, დალაგება სჭირდება... თანაც, მინდა რამდენიმე ფერწერული ტილო შევქმნა, მე მგონია, მაინც ფერწერა იყო ჩემი მთავარი საქმე, და ცოტა „გვერდზე რახან დამრჩა", ახლა ვნანობ, ხანში რომ შევედი...

**— თქვენი ოჯახი, მხატვრების ოჯახია, მეუღლე — დინარა ნოდია ცნობილი მხატვარია, შვილიც მხატვარი გყავთ. ადვილებს თუ ართულებს ეს შემოქმედებით ცხოვრებას?**

— ალბათ, უკეთესია ასე... მუშაობის პროცესში ისე ეჩვევი ნაწარმოებს, რომ კონტროლს ვეღარ უწევ... აი, მაშინ არის საჭირო უახლოესი ადამიანების თვალი, რჩევა-დარიგება, ზოგჯერ ჯანსაღი კამათი ჭეშმარიტების დასადგენად... ერთი სიტყვით, ერთმანეთს ხელს ვუწყობთ..

• • •

**მახსოვს,** ერთხელ, ნოდარ დუმბაძემ, მხატვრობაზე რომ მესაუბრებოდა, დიდი სიყვარულით მოიხსენია თენგიზ სამსონაძე და ისიც დაუმატა: „ჩემი ერთტომეულის გარეკანი ისე გააფორმა, გურიის სერები ისე გააცოცხლა, ხანდისხან, რომ დავხედავ, უსაშველოდ მომინდება გურიაში ჩასვლაო"...

მართლაც, ზედმიწევნით ეროვნულია თენგიზ სამსონაძის ყალამი, ნათელია მისი ფერი და მონასმი, არც მიკვირს, რადგან ყოველივე ქართული მისი არსებობის და ცხოვრების წესია.

**ვ. მარდალეიშვილი.**

• • •

**სურათებზე:** რესპუბლიკის სახალხო მხატვარი თ. სამსონაძე და მისი ნამუშევარი „დილა".

## პროფკავშირი და ფიზკულტურა

# განახლების გზაზე

**დღეს თბილისში, პროფკავშირთა კულტურის სასახლეში გაიმართება საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების I ყრილობა. ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის" კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ბიჭი შუღაროვი:**

— ყრილობა, რომლისთვისაც ჩვენ გულდაგულ ვემზადებოდით, მნიშვნელოვანი მოვლენაა რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში. ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებული გარდაქმნის პროცესი, ცხადია, ფიზკულტურისა და სპორტის სფეროსაც შეეხო. დრომ, გაზრდილმა მოთხოვნებმა დღის წესრიგში დააყენა პროფკავშირული ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის სტრუქტურული განახლების, მართვის ახალი, ეფექტიანი ფორმების დამკვიდრების საკითხი. სწორედ ამის პრაქტიკული გამოხატულება გახლდათ სისტემაში განხორციელებული რეფორმა — პროფკავშირული ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებების გაერთიანება. ზუსტად 10 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც „კოლმეურნის", „განთიადის", „ქარიშხალას", „სპარტაკის", „ლოკომოტივისა" და „წყალჯომარდის" შერწყმით ჩამოყალიბდა ერთიანი ხელმძღვანელი ორგანო, რომელსაც აქვს თავისი საბჭო, პრეზიდიუმი, ბიურო. მართვის ახალი აპარატის შექმნამ, ბუნებრივია, გარკვეული დრო და ენერგია მოითხოვა.

პირველი დღეებიდანვე მთავარი ყურადღება დაეთმო ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას. შეიქმნა შესაბამისი საოლქო, საქალაქო და რაიონული რგოლები, რესპუბლიკური საბჭოს სამმართველოები და განყოფილებები, ძირითადად გადაწყდა საკადრო, საფინანსო, სამეურნეო და სხვა საკითხები. გულახდილად უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში ბევრ სიძნელეს წავაწყდით, მაგრამ დღეისათვის უკვე გამოიკვეთა ცენტრალიზებული საზოგადოების ერთიანი სახე, გამოიკვეთა დადებითი ტენდენციებიც. გადაიდგა პირველი ნაბიჯები შრომით კოლექტივებში, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოების, ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტული კლუბების განმტკიცებისათვის. დღეისათვის რესპუბლიკური საბჭოს 5225 ფიზკულტურის კოლექტივი და სპორტული კლუბი 940 ათასზე მეტ ფიზკულტურელს აერთიანებს. რესპუბლიკის პროფკავშირების განკარგულებაშია 50 სტადიონი, 175 სპორტული დარბაზი, 35 საცურაო აუზი, 47 ტირი, 3826 მარტივი ტიპის სპორტული მოედანი.

ერთი სიტყვით, გარკვეული ძვრები უთუოდ შეინიშნება, მაგრამ ვიმეორებ, რომ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია, რადიკალური ცვლილებების პერიოდი ჯერ არ დამდგარა. არადა, დრო არ ითმენს, ორგანიზაციული ჩამოყალიბების პროცესს რეალური საქმე, რეალური შედეგებიც უნდა მოჰყვეს, ერთიანი საზოგადოების შექმნის უპირველესი მიზანია არა ცალკეული საზოგადოებების მექანიკური შეერთება, არამედ ღრმა თვისებრივი ცვლილებები პროფკავშირულ ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში. ამას კი ვერ შევძლებთ ძველ მეთოდებზე დაყრდნობით. საერთო წარმატებას საერთო ძალისხმევა განაპირობებს. საქმეს სერიოზულად ამუხრუჭებს ჩვენში ჯერ კიდევ ფეხმოკიდებული უწყებრივი დაბრკოლებები, სუსტი კონტაქტები ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან, ცალკეულ სამინისტროებთან, დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებთან. ჩვენ, სამწუხაროდ, ხშირად გვავიწყდება, რომ ფიზკულტურა და სპორტი არა მარტო კულტურულ-აღმზრდელობითი, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ კატეგორიასაც განეკუთვნება. სწორედ ამ პოზიციებიდან უნდა მივუდგეთ საქმეს, სწორედ ამას მოითხოვს ჩვენგან პარტიისა და მთავრობის დადგენილებები.

პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, აუცილებელია თვით პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების თითოეული რგოლის საქმიანობის გააქტიურება, ხელმძღვანელობის სწორი კურსის განსაზღვრა, დუბლირების აღმოფხვრა, ხელოვნური დაბრკოლებების მოშლა, დისციპლინისა და პასუხისმგებლობის ამაღლება. ახალშექმნილ საზოგადოებას ბევრი სხვა საზრუნავიც აქვს, ბევრი პრობლემაც აწუხებს. სწორედ ამის თაობაზე გაიმართება პირუთვნელი საუბარი პირველ ყრილობაზე, რომელსაც ყველანი იმედით ვუყურებთ. ეს დიდი ფორუმი ჩვენი მომავალი წარმატებების ბალავარი უნდა გახდეს.

# გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

### ხეზე კვეთის ოსტატები

**ხეზე** კვეთა ოდითგანვე ითვლებოდა ქართველი ხალხის საყვარელ ხელოვნებად. ამ დარგის ოსტატთა ნიჭიერი წარმომადგენელია სახჩერელი მუშნი ხვედელიძე. მის საოჯახო მუზეუმში ასზე მეტი ნაკეთობაა: თეატრალური ნიღბები, სურები, სასმისები, შანდლები, ხალხური საკრავები, სურათის ჩარჩოები, საათის სადგარი და სხვა.

მასალად იგი ძირითადად კაკლის ხის, არყის, ურთხლის, ბზის ძვირფას ჯიშებს იყენებს.

მუშნის ეს საქმე შეაყვარა ბაბუამ, რომელიც გობების, კოდის, ბათმანის, ფოხალის საუკეთესო ოსტატი იყო.

ახლა მუშნის ხელობას მისი ვაჟიშვილი რამაზიც აგრძელებს და ტოლს არ უდებს მამას.

▼ ▼

### ახალი ბიბლიოთეკები

**მკითხველთა** პირველი ჯგუფი მიიღო მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ობჩის ბიბლიოთეკამ, რომელიც დათქმულ ვადაზე ადრე გადასცეს საექსპლოატაციოდ. ახალი კულტურის კერა, რომლის წიგნების ფონდი 6 ათას ტომს აღემატება, დაკომპლექტებულია თავისი საქმის მოყვარული, კვალიფიციური კადრებით.

შენდება და მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — 1 მაისისათვის გადაეცემა საექსპლოატაციოდ როხის სასოფლო ბიბლიოთეკა.

▼ ▼

### „მერანმა" გამოსცა

**გამომცემლობა** „მერანმა" დაბეჭდა და სერიით „ქართული საბჭოთა რომანი" მკითხველს შესთავაზა გრ. რობაქიძის რომანები „გველის პერანგი" და „ფალესტრა".

რომანების ტექსტები იბეჭდება პირველი (მწერლის დროინდელი) პუბლიკაციების მიხედვით.

გამომცემლობა ასევე დასაბეჭდად ამზადებს მწერლის თხზულებათა ერთტომეულს, რომელსაც დაერთვის აგრეთვე ვრცელი წერილი ავტორის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

**მასალები რუბრიკისათვის მოამზადა თ. გუდაძემ.**

## სპორტი

# პირველი ნაბიჯი გადავდგით, მეორე?..

**თავიდანვე** უნდა ითქვას, მესამე ადგილისათვის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი სუპერფინალური მატჩის პირველი და მეორე ტაიმები ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდებოდა. ჩვენმა დინამოელებმა ამჯერად თბილისში კიევის „სტროიტელთან" გამართული შეხვედრის პირველი ნახევარი თავისი კარნახით წარმართეს, მეტოქეს თავს მოახვიეს პოზიციური და დინჯი თამაში, დროდადრო კი თბილისელთა წამოწყებულ კომბინაციებს „ფეთქებადი" იერიშებით და, რაც მთავარია, ზუსტი სროლით აგვირგვინებდნენ. ამგვარმა ტაქტიკამ მასპინძლებს საგრძნობი უპირატესობა მოუტანა და თითქმის მთელი ტაიმის განმავლობაში ათქულიანი, ხან კი მეტი სხვაობითაც სჯობნიდნენ მეტოქეებს. ტაიმი მოვიგეთ ანგარიშით 56:46.

თამაშის მეორე ნახევრის პირველ ექვს წუთში მოედანზე მდგომარეობის ბატონ-პატრონები კვლავ თბილისელები იყვნენ, შემდეგ კი ინიციატივას კიეველები დაეუფლნენ. იყო რამდენიმე მომენტი, როცა კიეველები წარმატებასთან საკმაოდ ახლოს იყვნენ (74:73, 75:73, 84:83, 92:92), მაგრამ მასპინძლები ყოველ ამ ექსტრემალურ სიტუაციაში ახერხებდნენ მდგომარეობის გაწონასწორებასაც და დაწინაურებასაც. და მაინც, მდგომარეობა სათუო იყო, მატჩის მიწურულს კი იგი კიდევ უფრო დაძაბული გახდა. მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა შეძლეს უპირატესობის შენარჩუნება: როცა მატჩის დამთავრებამდე 49 წამი აკლდა, თბილისელები შეხვედრას იგებდნენ ანგარიშით 100:96. ამ ვითარებაში კიეველებმა ორი საჯარიმო ტყორცნის შესრულების უფლება მიიღეს და ორივემ მიზანს მიაღწია — 100:98. დარჩენილ 49 წამში ერთთავად დინამოელები ფლობდნენ ბურთს, ანგარიშიც აღარ შეცვლილა და საბოლოო გამარჯვებაც თბილისელებს დარჩათ.

ამ დღეს თბილისელთაგან ყველაზე მეტი ქულა — 34 — მე-

სამეულზე მეტი კაპუსტინმა „გამოიმუშავა". დარსაძემ გუნდს 21 ქულა შესძინა, ტიუბინმა და ოპომნიანმა — 13-13, კოლჩევმა — 9, დერიუგინმა — 8, სანაძემ — 2.

ამრიგად, ბრინჯაოს მედლებისაკენ თბილისის „დინამომ" პირველი ნაბიჯი გადადგა. ჯერი განმეორებით მატჩზეა, რომლის თარიღიც ოდნავ შეიცვალა: იგი კიევში 6 მარტს გაიმართება, და თუ საჭირო გახდა, 7 მარტს მესამე, დამატებითი შეხვედრა მოეწყობა.

ამასობაში კაუნასში გაიმართა პირველი ადგილისათვის პირველი სუპერფინალური შეხვედრა ადგილობრივ „ჟალგირისსა" და ცსკას შორის. გაიმარჯვეს არმიელებმა — 87:80 (51:28). ამ გუნდების განმეორებითი მატჩი გაიმართება 5 მარტს და აქ, თუ საჭირო იქნა, მესამე შეხვედრა 6 მარტს მოეწყობა.

**ჯ. ენუქიძე.**

## სოციალური სფერო: ჯანმრთელობის დაცვა

# ხელშეკრულება მოსკოველ მკურნალებთან

**ჩვენი** რესპუბლიკის საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი მოსკოვის თვალის მიკროქირურგიის სამეცნიერო-პრაქტიკული სამეურნეო კომპლექსის სპეციალისტთა საქმიანობა, რომელსაც ცნობილი მეცნიერი, ოფთალმოლოგი, პროფესორი სვიატოსლავ ფიოდოროვი ხელმძღვანელობს.

თბილისის ბევრ სამკურნალო დაწესებულებაში დანერგილია თანამედროვე მკურნალობის ისეთი ეფექტური მეთოდები, როგორიცაა ხელოვნური ბროლის იმპლანტაცია — კატარაქტების დროს, კერატოტომია — ახლომხედველობაში, უკოაგულაციო ოპერაციები — ბადურა გარსის ჩამოცლის დროს, და მრავალი სხვა. მკურნალობის ყველა ჩამოთვლილ სახეებს ძირითადად საფუძველი ჩაეყარა უშუალოდ მოსკოვის თვალის მიკროქირურგიის ინსტიტუტში და შემდეგ დაინერგა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში. მოსკოვის თვალის მიკროქირურგიის სამეცნიერო კომპლექსი დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან ცენტრად ითვლება და გასაკვირი არ არის, რომ როგორც საბჭოთა კავშირიდან, ისევე უცხოეთიდანაც მოეშურებიან აქ ავადმყოფები სამკურნალოდ ან საკონსულტაციოდ. ბუნებრივია ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი ინტერესიც ამ მხრივ.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა აღნიშნული მდგომარეობა, მშრომელთა მოთხოვნები, ისიც, რომ მოსკოვის თვალის მიკროქირურგიის სამეცნიერო-სამეურნეო კომპლექსი სამეურნეო ანგარიშზეა, და წარიმართა მოლაპარაკება მის გენერალურ დირექტორთან, პროფესორ ს. ფიოდოროვთან. გარკვეული წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების შესრულების შემდეგ დაიდო ხელშეკრულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და მოსკოვის თვალის მიკროქირურგიის სამეცნიერო-სამეურნეო კომპლექსს შორის, რომელიც ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში — თვალის რთული დაავადებების დროს, ავადმყოფთა სამკურნალოდ გაგზავნას მოსკოვის ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში. მკურნალობის ხარჯებს კისრულობს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, თუ რა დაავადებებით და რამდენი ავადმყოფის გაგზავნა შეიძლება ყოველთვიურად.

საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრები დახელოვნების მიზნით ცენტრში გაიგზავნებიან ორი წლით, ხოლო მოკლევადიანი სპეციალიზაციისათვის, გამოცდილების გასაზიარებლად მიწვეული იქნებიან რესპუბლიკის წამყვანი სპეციალისტები.

ასეთი ხელშეკრულება ჯერჯერობით პირველია საბჭოთა სამედიცინო ორგანიზაციებს შორის. რაც შეეხება მოსკოვში ავადმყოფთა გაგზავნის საკითხს, მისი გადაწყვეტა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ დაავალა ტარასაიძის სახელობის თვალის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოსთან არსებულ კომისიას.

**ი. ზერაძე,**
**საქართველოს სსრ მთავარი ოფთალმოლოგი, პროფესორი.**

**რედაქტორი**
**ნ. ფოფხაძე.**

## საქართველოს ტელევიზიის მომავალი კვირის პროგრამა

### ორშაბათი, 7 მარტი

**პირველი პროგრამა.** 9.40 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ტყე". 9.50 — „მულტფანტაზია". 10.15 — მოსწავლეთათვის: „ფანტაზია და მარჯვე ხელი". 10.45 — „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა". მხატვრული ფილმი „გვიანი ალუბლები". 12.15 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.20 — „კინომოზაიკა". 13.00 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. „ცვლა". 13.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.50 — „ასეთი ნაცნობი და მოულოდნელი სახეები". 14.55 — „ვესტნიკი". 15.55 — ქართული დოკუმენტური ფილმი „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს". 17.05 — „გიწვევთ საკონცერტო დარბაზებში". მ. სებისკვერაძის შემოქმედებით საღამოზე. 18.20 — კვალი ნათელი. ქართული დოკუმენტური ფილმი „პოლიკარპე კაკაბაძე". 18.40 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო" ვილნიუსის „ჟალგირისი". რეპორტაჟი თბილისის „დინამოს" სტადიონიდან. 20.45 — მოამბე. 21.25 — სპორტული პროგრამა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „პაემანი ვერაზე"

### სამშაბათი, 8 მარტი

**პირველი პროგრამა.** 9.40 — დილა მშვიდობისა! საესტრადო გასართობი პროგრამა. 10.35 — გასართობი კინოგადაცემა „მხოლოდ შენ ერთს..." 11.30 — „ჯადოსნური ეკრანი". 11.50 — ქართული დოკუმენტური ფილმი „მანდილოსნები". 12.00 — საკვირაო გამოფენა. 12.05 — ხალხური შემოქმედება. „ლირიკული კონცერტი". 12.30 — მოსწავლეთათვის. „ჯადოსნური სალებავი". 13.15 — „თეატრალური აფიშა". 13.50 — საკვირაო გამოფენა. 13.55 — „მუსიკალური კალეიდოსკოპი". 15.10 — „მხიარული ეკრანი". 16.00 — საკვირაო გამოფენა. 16.05 — სატელევიზიო ნარკვევი „ქალი და სოფელი". 16.30 — კონცერტი „მიძღვნა". 17.05 — სპორტული პროგრამა. 17.40 — „ათას წელს გასძლებს შენი მშვენება". 18.15 — ახალგაზრდობისთვის. „კიდევ ერთხელ ქალებზე". 19.00 — „ქართველი კომპოზიტორი ქალები". 20.00 — მოამბე. 20.35 — „იავნანა". 22.00 — „ვრემია". 22.40 — „სარვამარტო".

### ოთხშაბათი, 9 მარტი

**პირველი პროგრამა.** 13.00 — „ნაშუადღევს". 13.50 — საბავშვო იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში". 14.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ერთი სიყვარულის ამბავი." 15.00 — მოსწავლეთათვის. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 15.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საჩუქარი დედისათვის". 16.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.30 — მულტფილმები. 16.55 — განცხადებები. 17.00 — მოსწავლეთათვის. საინსტრუმენტო მუსიკის კონცერტი. 17.20 — „აგრომრეწვის საქმეები და საზრუნავი" სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „მარცვლიდან ცამდე" (რიგა) და „მხოლოდ ახალგაზრდები" (თბილისი). 18.20 — ახალგაზრდობისათვის „შუქნიშანი". 18.30 — გარდაქმნის წახნაგები. „სოცშეჯიბრება ახალ საფეხურზე". 19.25 — საერთაშორისო დღიური. 20.00 — მოამბე. 20.30 — „ვერნისაჟი". ძმები სისაურები. 20.55 — „ლექსად თქმული ქართლის ცხოვრება." 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი". 22.50 — სათავგადასავლო ფილმის ეკრანი. მხატვრული ფილმი „საბაყო". 24.00 — „რაიმონდ პაულსი წარმოგვიდგენს...". საესტრადო პროგრამა ლ. ვაიკულეს მონაწილეობით.

**მეორე პროგრამა.** 17.35 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ადამიანი დაიბადა". 18.05 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 18.50 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი.

### ხუთშაბათი, 10 მარტი

**პირველი პროგრამა.** 13. 00 — „ნაშუადღევს". 13.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დაბადება". 14.00 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 14.30 — დოკუმენტური ფილმი „მაკარენკოსთან ერთად". 15.20 — მასწავლებლის საათი. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.00 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.10 — საერთაშორისო დღიური. 16.45 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.15 — განცხადებები. 17.20 — დოკუმენტური ფილმი „ორმოცი წელი ბავშვობის შემდეგ". 18.10 — მოსწავლეთათვის. „სტუმრად დისპლეის კლასში". 18.40 — გარდაქმნის წახნაგები. „კანონი მოქმედებს" (მეშვიდე გადაცემა). 19.25 — წერილის დღე. „რედაქციაში წერილი მოვიდა". 19.50 — მოამბე. 20.25 — ქართული მხატვრული ფილმი „თხუნელა". 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი". 22.50 — „მწერალი და ცხოვრება". დიალოგი ირაკლი აბაშიძესთან.

**მეორე პროგრამა.** 18.20 — დოკუმენტური ფილმი „პირამიდა". 19.00 — მოსწავლეთათვის. სსრ კავშირის ისტორია. 19.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „კოდრი". 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „რად უნდა ადამიანს ფრთები?"

### პარასკევი, 11 მარტი

**პირველი პროგრამა.** 13.00 — „ნაშუადღევს". 13.45 — კინონარკვევი „დედა, მამა და ჩვენ". 14.00 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. „ცოცხალი უდაბნო" და „მწვანე მეფის სადუმლო". 15.10 — მასწავლებლის საათი. დაწყებითი

**გასტროლები.** ამ დღეებში თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე საბალეტო ხელოვნების თაყვანისმცემლებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ ავსტრალიელი მოცეკვავეების ელიზაბეტ ტუისა და ჯონ მაკალისტერის ხელოვნებას.

**საქინფორმის** ფოტო.

## ცისფერ ეკრანზე

განათლება. 15.40 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.50 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.00 — განცხადებები. 16.05 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.35 — „ჯადოსნური ეკრანი". 17.00 — ახალგაზრდობისათვის. „წინანდლელი ბიჭები". 18.10 მოსწავლეთათვის. „ჩვენი პრესკონფერენცია". 19.00 — ფეხბურთი. თბილისის „დინამო" — მინსკის „დინამო". 20.45 — მოამბე. 21.25 — XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის შესახვედრად. „დიალოგი პორტრეტისათვის" (ფაბრიკა „ნარიყალას" მოწინავე მუშა, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. ბალანჩივაძე). 21.55 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — მხატვრული პროგრამა — „ფილმი, მსახიობი, როლი".

**მეორე პროგრამა.** 17.25 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუ შემიყვარდა". 18.40 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა. 19.25 — მხატვრული ფილმი „ხბოს წელიწადი". 20.45 — მოამბე.

### შაბათი, 12 მარტი

**პირველი პროგრამა.** 7.30 — „120 წუთი". 9.40 — მულტფილმი „როცა პატარა ვიყავი". 9.50 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.30 — დოკუმენტური ფილმი „მოქანდაკე ტომსკი. მთელი სიცოცხლის საქმე". 11.00 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.30 — ხალხური შემოქმედება. ლანჩხუთის რაიონის მშრომელთა თვითმოქმედება. 11.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.00 — თეატრალური პანორამა. 13.20 — XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის შესახვედრად. „მეგობრობის ეკრანი". 14.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.50 — საინფორმაციო გამოშვება. 15.00 — ხალხური შემოქმედება. „ჩემო ნათქვამო სიტყვაო". 15.30 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.15 — გარდაქმნის წახნაგები. „გაზაფხულს — გამართული ტექნიკა". 16.50 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.55 — ახალგაზრდული ქართული კინო (პირველი გადაცემა). 17.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყოფა, ყოფა..." 18.30 — კონცერტი. 19.00 — „სტუდია დიალოგი" (მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის საკითხებზე). 20.00 — მოამბე. 20.35 — სათავგადასავლო ფილმის ეკრანი. მხატვრული ფილმი „გარიგება". 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი". 22.50 — მსოფლიო საოპერო ხელოვნების შედევრები". რ. შტრაუსის ოპერა „არიადნა ნაქსოსიდან". ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-ოპერის სპექტაკლი. (ტრანსლაცია ნიუ-იორკიდან).

### კვირა, 13 მარტი

**პირველი პროგრამა.** 9.40 — „მულტფანტაზია". 10.10 — „დილა მშვიდობისა!". საკვირაო მუსიკალურ-გასართობი პროგრამა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.30 — კინოაფიშა. 12.00 — საკვირაო გამოფენა. 12.05 — „ჯანმრთელობა". 12.30 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.00 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 13.30 — ამბავი ნამდვილი ადამიანებისა. მხატვრული ფილმი. 15.00 — საკვირაო გამოფენა. 15.05 — „ვესტნიკი". 15.35 — „თბილისი და თბილისელები". 16.10 — სახვითი ხელოვნების დიდი ფორუმი მოსკოვში. 17.15 — „შეხვედრა კომპოზიტორებთან" (ქართველი კომპოზიტორები გლდანის რაიონის მშრომელებთან). 18.45 — „ფიქრები ხმამაღლა". სტუდიაშია ჟურნალისტი თ. ჯაფარლი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ზღაპრის გუდა. 20.00 — მოამბე. 20.35 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 21.00 — „შეხვედრა დიდ ბრიტანეთთან". სატელევიზიო ხიდი მოსკოვი-ლონდონი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.10 — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ქართლოს კასრაძის შემოქმედებითი საღამო.

## შაბათი, 5 მარტი

### მოსკოვი

**პირველი პროგრამა.** 7.30 — „120 წუთი". 9.35 — მხატვრული ფილმი „მე თქვენ ოცნებას გასწავლით". 11.00 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 11.45 — ახალი ამბები. 11.55 — დოკუმენტური ტელეფილმი. 16.30 — ახალი ამბები. 16.40 — საბავშვო გადაცემა. 17.10 — ა. გლაზუნოვი. № 8 სიმფონია. 17.55 — ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. დამთავრების შემდეგ — კონცერტი. 20.00 — მულტფილმი. 20.15 — დღეს მსოფლიოში. 20.35 — კომპოზიტორ ა. პახმუტოვას საავტორო საღამო. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — ა. პახმუტოვას საღამოს გაგრძელება. 0.25 — დღეს მსოფლიოში. 0.35 — მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი.

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — მოხატვის ხელოვნება. 10.05 და 12.15 — იტალიური ენა. 10.35 — ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვი. 11.35 — პოეზია. ო. ბერგოლცი. 12.45 — „კაცი სიმღერას მიჰყვება". ი. იაუნზემი. 12.05 — ერთი სურათის მუზეუმი (პენზა). 13.35 — მულტფილმი. 13.55 — ლუდვიგ ბეთჰოვენი. სეპტეტი ვიოლინოს, ალტის, ჩელოს, კონტრაბასის, კლარნეტის, ფაგოტისა და ვოლტორნისათვის. 14.45 — დოკუმენტური ფილმი. 14.55 — ახალი ამბები. 15.00 — ტელეფილმი „პირველი სიხარული". მე-2 ნაწილის VII სერია. 17.55 — ახალი ამბები. 18.00 — სპორტული ციგურაობა. 19.00 — მძლეოსნობა. 19.40 — ე. გრიგი. „ლირიკული სიუიტა". 20.00 — კალათბურთი. ცსკა — „ჟალგირისი". შესვენებისას — 20.40 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — მხატვრული ფილმი „ხმა". 0.20 — დოკუმენტური ტელეფილმი „ყაბარდო-ბალყარეთში". 0.40 — ახალი ამბები.

### თბილისი

**პირველი პროგრამა.** 7.30 — „120 წუთი". 13.05 — „ნაშუადღევს". 13.50 — საბავშვო იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში". 14.00 — შევისწავლოთ ქართული ენა. 14.30 — დოკუმენტური ტელეფილმი „ეს არატიპური მამაკაცები". 15.00 — შევისწავლოთ რუსული ენა. 15.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 15.50 — მულტფილმი „მეფის საუზმე". 16.00 — რეკლამა. 16.15 — მოსწავლეთათვის. თაობათა შეხვედრა. 16.55 — ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება თბილისიდან და მოსკოვიდან. 19.30 — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი. 20.00 — მოამბე. 20.35 — გარდაქმნის წახნაგები. 21.10 — ლიტერატურული თეატრი — „ძველი ქართველი ქალი". 22.00 — „ვრემია. 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — სპორტული პროგრამა „45 წუთი". 23.35 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი". ამერიკული მხატვრული ფილმი „ბრალდების მოწმე". 1.25 — საესტრადო კონცერტი.

**მეორე პროგრამა.** 16.55 — ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება თბილისიდან და მოსკოვიდან. 19.30 — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „მუსიკალური ამბავი".

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 05228 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14